

**ჯერომ როტენბერგი
სასტიკი ნიკანა**



უცქალი

Jerome Rothenberg
A Cruel Nirvana
Poems

Translation from English, afterword
and conversation with the author by
Irakli Qolbaia

გამომცემელი: დათო ბარბაქაძე

წიგნი გამოიცა მთარგმნელის ხარჯით

**წინამდებარე გამოცემა განკუთვნილი არ არის პო-
ეზიის ბიზნესში დასაქმებული მოკალმეებისთვის.**

პირველი გამოცემა

გამომცემლობა **უნივერსალი**
თბილისი 2019, მარტი

ISBN 978-9941-26-470-2

ჯერომ როთენბერგი

სასტიკი ნიკანა

ლექსები

ინგლისურიდან თარგმნა, ბოლოსიტყვა
და ავტორთან საუბარი დაურთო
ირაკლი ყოლბაიამ

წიგნი - სპირიტუალური ინსტრუმენტი

ედვინებთ ედმონ ჟაბესს და ელისონ ნოულსს

მე მას წიგნში ვხვდები - ან იმაში, რაც მას ჰგონია წიგნი.

ან მე მას ვხვდები წიგნში, რომელიც მან შექმნა და ჩვენ ერთად ვასხამთ ხოტბას აგებული-ბას.

ეს შენ ხარ, როდესაც ყველაფერი ითქმება და გაკეთდება.

ეს შენ ხარ და შენი ძლიერი ხმა

რომელიც გვათავისუფლებს.

ამათვის სიზმრის წიგნი სხვა საქმეა, ის არის აღმნიშვნელი, რომელსაც გონებასთან მიჰყავხარ ან მიჰყავხარ იქ, სადაც გონება დღის შუქს გადაკვეთს.

ის პლატფორმას აშენებს ფანჯრებს შორის.

მზის შუქი იჭრება ორივე მხრიდან

მზის შუქის წიგნი.

მაგრამ ჩვენ ამ ყოველივეს გვერდს ვაქცევთ: ჩვენ გავურბივართ მას და ვხედავთ, როგორ მორბის ის ჩვენთან ერთად.

ქუჩაში, რომელსაც ხის და ხმლის გამო დაერქვა სახელი, ჩვენს მეგობარს უდაბნო ესიზმრებოდა.

ეს იყო უდაბნო განსხვავებული იმ უდაბნოსგან ჩვენ რომ ვიცოდით,

განსხვავებული თავისი არყოფნით.

როგორ შეიძლება, ოდესმე უდაბნოს ადამიანი ვყოფილიყავი?

როგორ შეიძლება, უდაბნოს ხალხისგან გამოვსულიყავი,

უსახლკარო,

უვნებელი,

მაშინ, როდესაც ერთადერთი, რაზეც ისინი ლაპარაკობდნენ, ტყეა?

უდაბნო წიგნში მართლა სხვანაირი იყო

და მხოლოდ წიგნში იყო.

წიგნი იყო სადაც ის ცხოვრობდა და სადაც ჩვენ დავდიოდით.

ხეები იყვნენ მის გვერდებზე,

ფოთლითბნელები.

ედმონი ჩემთან ერთად იყო სიზმარში და ტყეში

და წიგნიდან კითხულობდა.
ტყე უცნობებით იყო სავსე.
უდაბნო ერთი ცხოვრების მოშორებით იყო.
დაბლა, მინდორში, ვიხილეთ კვამლის
ღრუბელი - სისხლისფერი - ამოწვერილი ეული
საკვამურიდან.
ქალი იდგა მასში, როგორც წიგნში.

წიგნის შიგნით სამყაროები ერთდებოდნენ.

წიგნიდან
ჯიგოკუ ზოშის შვიდი ჯოჯოხეთი

მეორე ჯოჯოხეთი: ქურდების, რომელშიც
ქურდები სანაყებში ინაყებიან

ქურდები ქურდები კობტა ქურდები აღარ
არიან

სანაპიროს ზღვა გადარეცხავს
ზღვას გადავარცხნის ქარი
ქარს მთელი დღე საკვამურში სძინავს
სალამოობით ის სახლში დაძრწის
ის გვალვიძებს, ის კარს უღებს ზღვას
ის დადის სადაც ქურდები დადიოდნენ
ის უფანჯრებო ღამეში მიგვიძღვის
მანუგეშე დარჩი ჩემთან ჩემი თვალების
სინათლეც

კობტა ქურდები აღარ არიან

ქურდები ტირიან
მათი ხმები ტირიან ჯოჯოხეთიდან
მათი ცრემლები თოვლს ავსებენ დაკარგული
ხურდებით

თითებს მწვავენ მათი ცრემლები
თითებს შენს თმებში რომ ვატარებ
რა ნაზია ხმა შენი
უპასუხე მათ ხმა გაეცი
იფიქრე ტკივილზე კანით რომ ატარებენ
ძაფზე მათი კანიდან შენ ხმამდე რომ აღწევს
შენი ხმიდან ქარს რომ ეტანება
უპასუხე ხმა გაეცი მათ

ქურდები ქურდები კობტა ქურდები აღარ
არიან

ჩრდილები მდუმარებენ
მდუმარებამ შენს ხმაში დაისადგურა
შენს ხმას ჩრდილებში ჩასძინებია
გამოიღვიძე კვლავ ღამით გამოიღვიძე შიშით
აღვსილმა
გამოეღვიძე შენს ფანჯარასთან ჩამომჯდარ
სიკვდილის აჩრდილს
ზეციდან გადმოკიდული კიბეები ძირს
ეცემიან

ქურდები ეცემიან მათი სისხლით ივსება მიწა
მიწა შენ რომ გელოდება
მიწა შენ რომ განადგურებს
მიწა რომელმაც ხმისგან განგძარცვა

მინის ხმა შიმშილისგან ყვირის
ცალი სამარე გველის ჩვენ ყველას
ცალი ქვა გვფქვავს ჩვენ წყალში
ზღვა სთვლემს შენს ხმაში
შენი ხმა ჯოჯოხეთს რომ დატბორავდა
ცრემლებით
მომაკვდავთ ტკივილს რომ შეუმსუბუქებდა
მაგრამ მხოლოდ ქურდები ტირიან ამაღამ
ტირიან სადაც მათ ხმას ვერავინ გაიგებს
მათი ხმები ქვიდან ტირიან
მათი ხმები ტირიან სადაც ჩვენ უსიზმროდ
გვძინავს
ქურდები ქურდები კობტა ქურდები აღარ
არიან

ბოდვისათვა ჯოჯოხეთს განაქმნის

რადგან იხილა კაცნი ამ სოფლისა, როგორ
ხნავდნენ თავიანთ მინდვრებს, თესავდ-
ნენ, ვაჭრობდნენ, ყიდულობდნენ და ყი-
დდნენ, და ბოლოს არაფერს იგებდნენ
გარდა სიმწრისა, ამის გამო სიბრალული
აღუძრა.

მდინარეში მობანავეებს
ჯიზო გამოეცხადათ

ზეცა პატარა თევზებით იყო სავსე
კაცთა სხეულები
იგრიხებოდნენ შუადღისით
როცა მიწა და ჰაერი ერთნი იყვნენ

ჯოჯოხეთის სიმძიმით
ორმაგმა ლოტუსმა
მოგვგვარა ძე სასუფევლის
ჩვენ დაბლა მყოფთ
და მობანავეებმა აჩვენეს ხელები
რომლებსაც ლურსმნების ნიშნები ესვათ

აირა

თქვა ჯიზომ

მოდით დავმარხოთ მათი ფინთი ჩაქურები
ჩემი ხალხი
ტკივილმა დალაღა
მეტისმეტად დიდხანს
ეცვა ჯვარს მსოფლიო

ნაზად დაანვიმა მათ იარებს
ქალებმა ზიდეს
კიბორჩხალების დიდი ლანგრები
მობანავებთან
როცა ჯიზოს აღმასმა
მზის სხივი იკრა

დანარჩენები
ჩამოვსხედით ქვის ფანჯრებთან
მდინარეს რომ გადაჰყურებდნენ
ვიხილეთ როგორ აცოცდა მთაზე
და გაუჩინარდა
საყარაულო შენობის უკან

აი რა უთხრა
ყარაულს
შენი ბოსები ის კაცები არიან

საბჭოს რომ სიტყვებით
აშავებენ
მაგრამ თეთრი მზე
სიყვარულს გვრის
სამყაროს

როცა ჯიზო თავის ჯოხს დაეყრდნო
ცრემლები ანათებდნენ
მისი სახის ლურჯ ღარებს
ჩვენ მას გავყევით
ქალაქში
სადაც შრომანებს სდიოდათ სისხლი ტბის
პირას

მან თქვა

გული
ყვავილია
გიყვარდეთ
ერთურთი
ნუ განდევნით
ბებრებს

დანერეთ ლექსი
ხატება

ჯოჯოხეთს განხვნის

კაცის სიხარული
ქმნის
მის ღმერთებს

მათთვის ვინც შეისმინეს
სიძულვილი გაქრა

ღამე ანგელოზებთან
ერთად გავატარეთ
ჯოჯოხეთის გუბურებში
მოთევზავებმა

წიგნიდან:
პოლონეთი/1931

პოლონეთი/1931, "ქორნილი"

ჩემი გონება სუფრებით და ბეჭდებითაა
გამოტენილი მაგრამ ჩემს გონებას
ესიზმრება პოლონეთი გამოტენილი
პოლონეთით

წარმოსახვით მოვხვდი
შავ ქორნილში
შიშველი ნეფე დაფარფატებს
თავის შიშველი პატარძლის თავზე
შეშლილო პოლონეთო

საზარელია შენი ურიები ქორნილისას
შენი სინაგოგები ქაფურის სუნითა და ნუშით
შენი თერმოსის ბოთლები შენი
ელექტრონისლები

შენი დაწნული ილღიები
შენი ფესვებით ცოცხალი საცვლები
პოლონეთო

პოლონეთო პოლონეთო პოლონეთო
პოლონეთო პოლონეთო

როგორ რეკენ შენი თავის ყვავილებში
გახვეული ზარები
როგორ აღინვდიან თავიანთ ენებს რათა
მთვარეს აკოცონ
ძველო მთვარეო ბებერო დედა შენსავე ცაში
გაჭედო
ძველი ზარი უენო და კარგული ცური
ო პოლონეთო შენი ლუდი მარად დამპალი
პურით მზადდება
შენი აბრეშუმები სელისაა მხოლოდ შენი
ვაჭრები
ქორწილებზე ცეკვავენ სადაც ფანატიკური
ნეფეები
ჯერაც ოცნებობენ პატარძლის
ხელისმომკიდებზე ჯერაც კვიან
თავისი წითელი უღვაშებიდან პოლონეთო
ჩვენ ფხიზლად ვინექით შენს რბილ
მკლავებში სამარადისოდ
შენი მამები ტკივილს გვიამებდნენ
შენი ბალიშები გვიპყრობენ და გვიცავენ
ავადმყოფი საშვილოსნოებივით
დაე გავცუროთ შენს მძვინვარე ქორწილებში
პოლონეთო
დაე ვიაროთ შენს ბაზრობებში სადაც
მნიფდება და სივდება შენი სოსისები

დაე ჩავკბიჩოთ შენი სანელებლები დაე
შენი ხარების ნეხვი იყოს შაქარი
შენი მომაკვდავი ურიებისთვის
ო პოლონეთო ო ტკბილო საზრიანო
მოუსვენარო პოლონეთო
ო წმინდანების პოლონეთო ღილშეხსნილო
პოლონეთო უთავბოლოდ რომ იმეორებ
მარიამის სამმაგ სახელებს
პოლონეთო პოლონეთო პოლონეთო
პოლონეთო პოლონეთო
ხომ არ მოგვბეზრდი შენ პოლონეთო არა
რადგან შენი ყველები
არასდროს მოგვბეზრდება და არც შენი
თხების თაფლი
შენი ნეფეები მრისხანედ იმუშავენ
თავიანთ შიშისმომგვრელ პატარძლებზე
მოიყვანენ ჯალათებს
იდგებიან მეფეებივით შენი სახლების
შესასვლელებში
ხელებს მოხვევენ შენს ზღუდარებს
და აჩხავლდებიან

ქოქპოი

პირველი ნაწილი

უნაგირმტკივანი მოველ
ურია
ინდიელებს შორის
რა მინდა ამ უცნაურ ადგილას
ამ უცნაურთვალეზა ხალხში
იქნებ შარია
იქნებ იქნებ
(ამბობს) აჩრდილი
წამოიძვართა წინიბურიდან
ტომაჰავკი უჭირავს ხელში
ნაჯახის ჩრდილი მის მარჯვენა თვალში
ავტოკალმის მის მარცხენაში
აქ რა მინდა
ისე როგორ დავიკარგე რომ აქ აღმოვჩნდი
ასი კაცი ვარ
ასორმოცდაათი სხვადასხვა ჩრდილი
ურიები და გოიმები
რომლებსაც კანონი მოაქვთ ველურ მხარეში
(ამბობს) ეს კაცი
მე ვარ ბაბუაჩემი
და სხვა მეკალმეები

წერილასხმული კაცები ფოსტას დაატარებენ
ლიტველი პონი-ექსპრესის მხედრები
ფინანსურად შეშლილი ბუფალო ბილი
ჯერაც პირველი მიაჭენებს
ქასთერის სიკვდილის გამო შურისძიებამდე
რამდენიმე საათით ადრე
ვიდრე ამ ომებზე პირველ 3D- ფილმებს
გადაიღებენ

ან მანამდე წლებით ადრე
რიცხვები ქრებიან კაბალისტურ დროში
რომელიც ყველა კაცს აკავშირებს
და ეული მხედარი
უნაგირმტკივანი
ვარ მე ბაბუაჩემი
და სხვა მეკალმეები
ურები და გოიმები აბიჯებენ
ინდიელის საუფლოში
კანონი მოაქვთ ველურ მხარეში
ოქროს საბადოებსა და დამპალ მაღაზიებში
ქურქით ვაჭრობა მძიმე აგრიკულტურა
დასტები ტყვიები დალაქები
რომლებიც ჩემს წვერს შენს თმას ემუქრებიან
მაგრამ მფარველობენ
და ჩვენი მოდგმის კაცს სენატორად სვამენ
არიზონაში

მათი კანონის ქომაგს
რომელსაც ორთავე ვეჯავრებით
მაგრამ იცვამს როგორც ურია ერთ დღეს და
ინდიელი

მეორეს პატარა ქრისტიანი სირი
აქ რა მინდა
მგონი აქ რალაც სიგიჟე ხდება
უკან-უკან მიაცურებს ყველა ასოს
(ამბობს) აბა ვინ წაუკითხავს უდაბნოს
საგზაო ნიშნებს
გზას ვინ გამოიგნებს ტყიდან
ან ფორდის დინებებიდან ბებიები
ცხოვრობდნენ აქვე
გველებით მუტლებში
იქნებ კბილები
ბენზოხერხები იქნებ
როცა ბაალ შემი ესტუმრა ამერიკას
შტრაიმლი ეხურა
ადგილობრივებს ქაუბოი ეგონათ
იქნებ მექსიკიდან
"ქოქბოი?"
არა ქაუბოი
მე ვასახელებ ჩემს თემს
და რასას
მაგრამ ვეძიებ ჩემს ძმა ესავს ამ ნითელ ხალხში

მათ ღამეულ ცეცხლებს გავიზიარებ
ფსლის ძაფი ჩემი წმინდა ყლიდან
ადონაის თესლს ატარებს
და ხილვებით გამოკვებავს მათ
მისით გავავსებ მოლუსკის ნიჟარას
ჩამოვატარებ პირიდან პირში
ჩვენ შევხედავთ მთვარის ამოსვლას
ერთმანეთის თვალებში
დაშორებები გაქრება კაბალისტურ დროში
(ამბობს) ბებერი კაცი იყურება
ფრიალო კლდეებიდან ქალაქი
მოცული სინათლეებით
კაცი და ქალაქი ქრებიან
იყურება და ხედავს სხვა ქალაქს
ეს შუშისგანაა დამზადებული
უძრავი ქანდაკებები
დგანან შენობებში
ყავისფერკანიანი სახეები
იჭერენ სინათლეს
ლიფტი
ადიჩამოდის
ნელე კუნას ტომის ხილვაში
ბაბუაჩემის ხილვა
მონები ქვედა გემბანზე
რა იხილეს მათ საერთო

რა სინათლით გაელნენ
მათი თვალები ვარსკვლავებს
მე არ ვიცი
აქ რას ვაკეთებ
ამ ადგილას ყველა ასო უკან-უკან
მიდის დროში ამობრუნებული
ველური მხარის მიმართულებით
ბებერი ურია ქაჩავს თავის ხიფთანს
ის იყოფა მისთვის
მისი სული მთის ფერდობზე მიექანება
იქ არწივი ხვდება
არწივი? არა არწივი
კაპიტნები მეთაურები ძვირფასო
 მადისალმძვრელი შეშლილები
მკვლევები, რომლებსაც ექსპლუატაცია
 მოაქვთ კონტინენტზე
შენყვიტე და დანებდი (ამბობს)
მოდით ვილაპარაკოთ (ამბობს)
ცოტა გაზის სუნი მცემს აქ დაბლა (ამბობს)
(სარკეში ვერ ვიყურები ტირილის გარეშე)
და არწივი ზე აიტაცებს
როგორც ლიფტი
უსაფრთხო ადგილას მზის ამოსვლის თავზე
იქ აძლევს სიმღერას
ბაალ შემის სიმღერას

საუკუნეების მანძილზე უსიტყვოდ
ნამეორებს

"ჰეია ჰეია ჰეია" მაგრამ თარგმნის
როგორც "იუ-ბუ-ბუ-ბუ-ბუ-ბუ-ბუმ"
როდესაც ბაალ შემი (იუ-ბუ) ფუთის შეკვრას
ისწავლის

რას ჩადებს ბაალ შემი (ბუ-ბუ) ფუთაში?
მისი ტალიტის ტომრის აბრეშუმი ქვემოდან
თახვის ტყავი ზემოდან

ესროგის ნაყოფის გემო შიგნიდან
შუაში თოვლათხის რქა
გვერდებზე მტრედის ბუმბული
პოლონური ნივრის კბილი მის გულში
რომელსაც მოგზაურობის დროს იკეთებს
კაბალისტურ ტყეებში მსვლელობებისას
ცარების კავალერია ყოველი მხრიდან
კაცი მსხვილი უღვაშებით ყვითელი

თვალებით და დაშნებით

რომლებიც ნატიფ სულს ედევნებიან
ლამით ვაიომინგის სტეპების გადაღმა
(ამბობს) აქ რა მესაქმება

ჩემ ქუდს ვერ ვიპოვე
ოთხზე ვეძებ მთელი სოფელი
სანამ კლდის უკან კოდიში
ბებერი ინდიელი მოაბიჯებს წინ

ორივეს წინასწარმეტყველებები ერთდება იმ
წამს

ვითარცა კვამლი ჩიბუხი დგება
მათ შორის წვეთავს მათი ტუჩებიდან
მწარე თამბაქო

"ქაუბოი?"

ქოქბოი (ამბობს ბაალ შემი)

კაკალს ათავსებს თავის ცხვირსახოცში და
რიყის ქვით

ტეხავს ორივე ქამს
ინდიელი ბანქოს შეკვრას იღებს
და ჩეხავს

"თამაში?"

მგელ-ბატკნობანას თამაშობენ
ცეცხლი ტკაცუნობს პრიპიროკში
სადღაც ამერიკის გრძელ კარავში
ჩამოსვლის ამბავი იწყება

წიგნიდან სენეკას დღიური

მე თახვი 1968 წელს გავხდი. მამაჩემი რიჩარდ ჯონი ჯონი იყო. ცერემონია ვიგვამში ჩატარდა და ძალიან ხანმოკლე იყო. რალაც სიტყვები ითქვა სენეკას ენაზე. მე ახალი სახელი მივიღე. არ ვიცი, რამდენად სერიოზულად შვებოდნენ ამას, მაგრამ სახელი მაგარი იყო. ჩემი ცოლ-შვილი ლურჯი ყანჩები გახდნენ. ჩემს ცოლს "ის ვინც მოგ ზაურობს" დაერქვა, ჩემს შვილს - "მოლაპარაკე". ჩემი ცოლის და თელმა ლედსამი იყო, ხოლო დედამისი - ეფი ჯონსონი. თახვებით ოთხი წლის მერე დავინტერესდი - როდესაც სალამანკაში გადავედით საცხოვრებლად. სალამანკა სარკინიგზო ქალაქია ზუსტად ინდიელების ნაკრძალთან. მე ის ერთხელ ვნახე ამერიკის გერმანულ რუკაზე, რომელზეც ოლბანი (ნიუ იორკი) არ იყო დატანილი. ქალაქის მოსახლეობა ახლა 7000 ადამიანია, მათი უმეტესობა თეთრკანიანი. ჩარლზ ოლსონი წერდა: ისტორია ახალი ლოკალიზმია. და ეზრა პაუნდი: ეპოსი არის ლექსი, რომელიც ისტორიას მოიცავს. როცა მოვკვდები, ჩემი სახელი იქ დაბრუნდება, საიდანაც მოვიდა. მას სენეკა მოაკითხავს.

სალამანკა, წინასწარმეტყველება

(1)

ქალაქი
კუს ზურგზე
გრძელი ქოხი

/

ჰგავდა იერუსალიმის
ტაძარს დასვენებულს
ვეშაპის ზურგზე

(2)

შეუძლებელია ამ ყველაფრის
შეკავშირება

სენეკას ერი
სალამანკა, ნიუ იორკი

სანაკას დღიური 1: თახვების ლექსი

ედღვნება გარი გორდონს

სიზმარში
თახვები მოდიან
ჰარი უოთთან
"ბავშვი
"ამეტყველდებოდა
"კომუნიკაცია
"მწკრივად იდგნენ
"თქვეს აღარ
"მივაყენებდი ზიანს
"მეტად
"აღარ
"ვინადირებდი ნაულასა
"და მაჩვზე
"მაგრამ თახვები
"ჩემი ძმები იყვნენ
"და მეხმარებოდნენ

ასე დაიწყო მისი ამბავი და მე ის ვიცოდი
აგრეთვე როცა ვუსმენდი რასაც ამბობდა
ვუსმენდი ვიცოდი ჩემთან იყო ჩემს დროზე
ადრე და ვიცოდი როგორც საკუთარი მოგ-

ონება ბაბუები არა როგორც მონადირეები
ტყეში არამედ ძველი სამყაროს ზღვარზე
ტყეები რომლებშიც კაცები და ქალები მიდი-
მოდიოდნენ გზად ბაზრებისკენ აბანოებისკენ
ზაფხულობით ტყედ მიდიოდნენ კენკრის
საკრეფად მგელადევნებულნი ზამთრის წარ-
სულში ქოხები სადაც სოკოები ეკიდა საშრო-
ბად მოხუცი ქალები ტყეებში ცხოვრობდნენ
მძიმე რუხ კაბებში გამონყობილნი ნიკაპზე თმა
ტომობრივ წვერად ებურძღვლებოდათ მათი
კუთვნილი ოჯახის ძაღლები და კატები მათ
გვერდით კეთილი სახელის ოსტატებს ამათ-
გან ესწავლათ ცხოველთა ენა ეს არის
საიდუმლო ყველა კაცმა რომ შეინარჩუნა ეს
უფრო დიადი ენა ენა იმისა რასაც ბი-
ოლოგიურ საძმო გაგვიმჟღავნებს ან
კიდევ ერთხელ

ეთოლოგია მაკლურისა
და ჩომსკის ხილვები ყველა
ღრმა ენათა მეტყველნი მიგვითითებენ
მიმართულებით ამ თაობას
რომ ექნება პატივი იკისროს
უნივერსალური ენა
რომელშიც სამყაროს სამეფოები

ერთია
სამყაროს სამეფოები ერთია

*

რას ნიშნავს ეს ჭეშმარიტად იყო თახვი
როცა ვფიქრობ ამაზე ვფიქრობ
წყალზე წყალზე რომ ფარავს სხეულს
ბალნით დაფარულს
ვფიქრობ თახვების ქუდებზე
და თახვების ფილმებზე
ვფიქრობ თახვურ ცხოვრებაში
ხელახალ შობაზე
თახვი იბადება
ბაალ შემის ლექსში
ისაა კაცის წარმომქმნელი ნაწილი
თმიანი სირი
ეს დაბალი საზრისი რომ ამოხეთქავს
ცვლის იმას რაც ვართ
რბილი
მაგრდება ცივი
ცხელდება
თახვის წითელი ენა ბენვის
ბუდეში
უეცარი სახეცვლილებით

თხევადი სამყარო
იქცევა
ნებისმიერად რაც გონებას ძალუძს იფიქროს
გონება ფიქრობს
აბიჯებს გარდაქმნილი სექსის
თხევად ძირეულ ნაკადში
ბაალ შემი ტოვებს თორას ნათელს
და იქცევა
ნებისმიერ ძველ ცხოველად
წმინდა ტყეში

*

არა უწყინარი მხეცი ის ძალაა
არა უწყინარი კაცი ის არის კუნთი დაჭიმული
ელის როდის მოუჭერს და ჩაამტვრევს
თავის ქალას იქნებ ასევე დაფშვნას ყბა და
აქციოს
კბილების თავისების მსგავს ლამის
არარსებულ წყებად მოჩვენება კბილი
შუაგულში რომ ანათებს სარკეა რომლებშიც
ჩვენს თავებს ვხედავთ
უშორესი გვირაბის ძირას რომ მიიკლაკნება
მანათობელ ფოთლებსა და ყვავილებს შორის
სიტყვებსა და ციციქნა მელოდებს შორის

ფერები რომ გამოსცემენ
ან თუ სიზმარი იწყება
მდუმარებით იმავე ფეხში
თავად მდუმარება რომ არხევს
თითოეულ იზოლირებულ ნერვში
ათრთოლებული

ცეკვა აგონებს სიმღერას
რომელიც სურს რომ იმღეროს
სიკვდილის ჟამს
და თუ ამ სიმღერას ახლა თახვი უმღერის ეს
იოლ სიკვდილს უნდა ნიშნავდეს

*

ზუსტად როგორც დაბადება იყო ადვილი
თახვის ცხოვრება წყალში დაიწყო
იყო ძვლების და ბალნის გუბურა
უტყუარმა წინათგრძნობამ
გამოტყორცნა მისი ენა
მარცხენა ძუძუსკენ მოწოვა
ტკბილი ყვითელი ბლანტი რძე
დედილომ რომ მისცა
"ყლუპ" ამბობს ბებერი ლოჯა თახვი
"ეხა გაცურვა უნდა ვცადო"
ერთი საათისაა მხოლოდ და უკვე ლაპარაკობს

დაცურავს მარჩხ წყალში შიშველი ფეხებით
ატოპებს
დედილოს ძუძუს დვრილის გარშემო
ნაშუადღევს მზე რომ იხრება
ვიგვამის თავზე ისწავლის
როგორ არ გაუშრეს კუდი არამედ წვეთოს
ტკბილი მასუფთავებელი სურნელი ქვედა
ხვრელიდან ყველა არსება რომ ილტვის
დაყნოსოს
ბენვს ისე სათნოდ და ტკბილად
ივარცხნის ასეთია თახვის ცხოვრება
(ამბობს ბებერი თახვი)
მგონი წავალ ცოტა ხეს დავღეჭავ
—როგორ უყვარს ღეჭვა და კუება—
"რა იოლია სიამენი
"ამა სოფლისა ხრიკი ისაა
"ხე ვიპოვო და მზე დავინათო
"ნარინჯისფერ კბილზე
"ხის ნაფოტები მთელი დღე დაფრინავენ
"და მე გავჩერდები არასდროს
"სანამ ხე ძირს არ დაეცემა
"და არასდროს გავჩერდები თუმცა შეიძლება
გამსრისოს
"დამიბინდდეს თვალებზე გადაკრული
პირბადე

"რასაც ძველნი სიკვდილს უწოდებენ

*

მაგრამ არა უბრძოლველად
(თახვი ამბობს) ნავი დაჰყვება კვალდაკვალ

"ისე ცბიერად უთვალთვალეbs ჩემს

გვირაბებს

"ნიხლებს ურტყამს ჩემს ჯერაც ჩემი

სურნელით

"მხურვალე ორთქლმდენ დატკბილულ

"ტალახის ღვეზელებს პროჭში

"იტენის ზეთის წვეთებს

და ქვებს (ღრიალებს)

მე მეფე ნავი! ამლოკე!

ნავის დიადი ნილაბი ავსებს

თახვი კაცის სიზმრებს

ნაკვალევს ტოვებს მის სიმინდის ფაფაში

ღერღილის მარგალიტისებრი მარცვლები

ნავის კლანჭებქვეშ

ნავის ფსელი შხაპუნით ეცემა

ბურღულის წვნიანად

"ქვიშები ნარწყევის ნატიფი ტალღები

"ჩემი ნათხემის გადაღმა ო ნავების

"ცბიერი ცეკვა მკათათვის ღამეობით სავსე

მთვარე

გამოკიდული შავი მურყანის ბოდის თავზე
ხარობს ბებერი თახვი კაცი გარ-
შემოიკრებს შთამომავლებს
ის წყალზე დგას
ზედ მაგრად
ატყაპუნებს კუდით (ამბობს)
"ძველო მტერო
"წავო
"უხუცესი მისტიკური
"ძუძუმწოვრების სიონური ამერიკის
"გრძელწვერების
"წმინდა რაბინული
"საბჭოს ვიგვამის სახელით
"მე ვიცხოვრე ჩემი წინა ცხოვრება მიწისქვეშ
"ან ახალი მზისკენ მივემშურები
"ტომობრივი გვირვინოსანი (ამბობს თახვი)
"მე ყვერებს გაღეჭავ
"მე გადარჩა

ეგ დაღა მოღგმა

მეცნიერების ღმერთების ზიგ ზაგ
დედები გიჟი შეყინული ვარსკვლავები
და აფთიაქები
მამები რომლებმაც უდაცვოდ დატოვეს
ანარქიზმის კარვები
სენ ჟერმენზე ტამტამებივით
ჩამწკრივებული
არქტიკული ძვლები
ცოცხალი ნათურები
აფროდიზია
"ხელოვნება ნაგავია" ამბობს
ურინალი "გათხარე ხვრელი
და შიგ შეცურე"
შეტყობინება უწყალო კომპიუტერიდან
"თქვენ ჰამბურგერები ხართ"

თებერვალი, 1916 ყველაზე ჩაბნელებულ ქუჩებში არქიტექტურული ნეკნების ჩრდილებში სადაც ჩუმრუმა დეტექტივებს გადაეყრები ქუჩის ნითელ განათებებში - დაბადება - კაბარე ვოლტერის დაბადება - ერთ გამოცემაში, პერსონაჟები ჩნდებიან, ლექსებს ამბობენ ან თავს იკლავენ, ფაციფუცობენ და დაძრნიან, ხალხის ჟრიამული, შეძახილები, ღმერთისა და საროსკიპოს კოსმოპოლიტური ნაზავი, კრისტალი და მსოფლიოს ყველაზე მსუქანი ქალი: "პარიზის ხიდებქვეშ"

დადას როგორც ჩემი მუჟის ისტორია

მამათა ისტორია

მხოლოდ დადა სიძველისაა მხოლოდ
გუშინდელი

მომდევნო დილის

დღენინანდელი, დრო

ამ საუკუნეში გატარებული

ცარიელი მატარებელი

გველმიიკლაკნება პარიზისაკენ

კათედრალი რომელშიც ცარიელი ჭაობი

იღვრება

და მათ თავბრუსხვევს

მძღნერი ეკვრის მათ ცხოვრებისადმი

მამებისეული წყურვილით შეხსნილ

მანჟეტებს პერანგები და მონოკლები

აცხადებენ ავან-გარდს

ავან-გარდი საკუთარ თავს აცხადებს

დაუსწრებლად ყმანვილები

დადას ისტორიის მამები

ჯერაც დადიან მის ლიანდაგებზე

მიქრიან ჩემი ეიფელის კოშკების მიღმა

თითო შეჯახებისას

თითო ანალური ლტოლვა აწვებათ

"ესაა კულტურის გული"

აცხადებენ
ომის გული
დადა ღვთაების გული
სამყაროში რომელსაც მათი ლექსები ქმნიან
მუზები დოღს სცემენ კედლებზე
უნაგირებზე
მუზები მასტურბირებენ ქარში
ო დადა ო მუზაო ჩემო
ცელოფანში გახვეულ ყმანვილებს
სძინავთ მამათა ისტორიასთან ერთად
მამათა თავებში
ცეკვავს გოგონა სახელად შოპენჰაუერი
პარიზისკენ გამგზავრებული მატარებელი
ზანზიბარს ადგება

ლექსები ყირავდებიან
რათა გვიხსნან ლექსები
უკუღმართი ქსელები ენის ისტორიაში
ხმა

ღვთიური
ფეხი
მარტოობა

კუნძულების მეფე ხეში
თითო ხელში თითო სალამურით
ტოტების შუაგულში ჩარგული მისი ასო
მათ მაგიდებს აყირავებს, მთელი იატაკის

გაყოლებაზე ღვრის მათ ოცნებებს
დედოფალთა ხმები წიგნებში
ჭაბუკები - მამები - მიდიმოდიან
ყოველი მათგანი მეორის მუზაა
ჩრდილნაკრავ ქალთან
ერთად იცდის
მამათა
შორის ნასროლი ფეხბურთები
მამები
მიედინებიან ცარიელი მატარებლის
სადგურების გასწვრივ
მხოლოდ გუშინ
ვიღაც სხვის სიზმარში
ხმა განიხვნა, ამოყირავდა
სხეული ნახევრად ფანჯარაში
ორად გაჭრილი
მატარებელი რევოლვერის ლულაში
თავგზააბნეული სხვა მატარებლების
და მასრული თვლების მიერ
ზედმეტი ნაწილების თავყრილობა
ვერასდროს მოერგება
მამებს
მამები ბრახუნით ვერასდროს მოერგებიან
საკუთარ თავებს ყოველი კაცი
სხვისი მუზაა

თითოეული თავის ფეხბურთში
პარიზის თავზე ხელს აქნევს
ოპერის თავზე გამოკიდული ქანდარიდან
თითო ხელში თითო სკუმბრია უჭირავს
ლურჯი განათებები მათ თავზე
ლაბადქცეული მათი ღმერთების ფერები
ონოსტრადამუს
შენი სახელიც ჩემსავით
ჯერომია?
საგიტარიუსი ძმავ ჩვენი?
სად არიან ახლა მხნე
აპაჩები? დადას
პირმშონი?
პარიზი იცდის
ბილბორდზე
საუკუნის ისტორია
განათებული, რუხი
მთვარის შუქში
მიესალმება ჩემს მუზას როგორც დადას
სამხედრო გუნდები ეფინებიან სადგურს
ჩემს მუზას ხმარობენ
ქალაქის სექტემბრებო ო ვოლტურო კამარა
ნაღდო და ლურჯო
ნაცრისფერო ცხოვრება
დადაისტი ლიფტით ადის

პაპთან ერთად
მუზებისამებრ ქარის დინებით ატანილი
მამები

ემვებიან ერთი ეიფელის კოშკით
და მეორით ისევ მაღლა ადიან
ო ლურჯი ჭიანჭველებით სავსე სინათლის
ბორბლებო

რაც დაიწყო დადას სახელით მთავრდება
სიდადავით
როგორც ჩემი ხელი მთავრდება, ნახევრად
მოქანავე
ნახევრად თავის თითებს მოჭრილი
სადაც ქუჩა მთავრდება
სადაც მომდევნო ქუჩა ნახევრად უხვევს
მომდევნო ქუჩაზე

ლეჩსი ყვითელში, ტრისტან ტარას მიხედვით

ანგელოზმა ჩააცურა შენი ხელი
ჩემ კალათში ჭამე ჩემი ყვითელი ხილი
მას ჩემი თვალი ნატრობს
ჩემი ყვითელი ბორბლები ნუიან
ო ადამიანის თავბრუდასხმული გული
ჩემი ყვითელი ზარისცემა

ამ ბნელ სიტყვაში, ხურბნ
ყველა მათი სინათლე ჩაქვრა

მდუმარებდნენ მათი სიტყვები,
მოგონებებად
მიედინებოდნენ საცხენო გზებზე
ვიდრე მალკინერის ქუჩამდე

უბედურება მშობლის ენაზე
მისი სიტყვები ცარიელია
მეტყველებისგან

უბრუნდებიან უცალო სიტყვას
ბავშვის სიტყვას
თქმულს, წითელთვალად
გაყინულ ტბორზე

იყო როგორც ისინი იტყოდნენ მას
როგორც ავილებდი მას შენი პირიდან
და დავარწევდი

ამ ძველთაძველ და ბნელ სიტყვას

ისინი ვინც უნინ მას იტყოდნენ
ახლა კრინტს არ ძრავდნენ

DOS OYSLEIDIKN (გამოცარიელება)

თაფლის ქუჩაზე ოსტროვაში
თაფლის ხალხი სად წავიდა?
ცარიელი ცარიელი
მიოდოვა ცარიელი
საცხოზი ცარიელი და ცარიელი გზა
ვარშავისკენ
ყვითელი ხის სახლები და სახლები ნალესი
ბათქაშით
ცარიელი სახელის აჩრდილი ჯერაც მათ
კარებზე
შადაი და აჩრდილი ამსხვრევენ მშობლიურ
ენას
მშობლის ენა მაგრამ ცარიელი
ვითარცა გზებია ცარიელი ჩვენ რომ
გავდივართ
გზას ვიკვლევთ ბავშვთა ჯგუფებში
ბებერი ქალები თავებს ინიავებენ ქალაქის
საბჭოებიდან
ბებერი გლეხები ცარიელ ურმებს ეზიდებიან
ცარიელ გზებზე
რომლებიც არ ფანტავენ არამედ ქმნიან
სიცარიელეს
ცარიელი თაფლის გემო

ცარიელი კვერები შიგ რომ თითებს არჭობ
ცარიელი მჟაუნას სუპი ჟინჟლლავს მათი
პირებიდან
განსაზღვრავს რომელიღაც სხვა პოლონეთს
დაკარგულს ჩვენთვის როგორც მთვარეა
დაკარგული ჩვენთვის
ცარიელი საათის კოშკი თავის სინათლეს
ოთხმხრივ რომ ზომავს
მჟაუნა ეზოებში ღვთისმშობელი
გზისპირებზე
ცარიელი მატარებლების ანარეკლში
მხოლოდ საქონელი ღმუის
როგორც ურიები თვალდაცვარული
მოხეტიალენი
ჯერაც მოჩანან ჯერაც ბუზები
ასხედან თვალის კაკლებზე
მატარებლები მიდიან აღმოსავლეთით,
ცარიელი სახლების
ხვრელში (ხვრელოკოსტი) ცვივდებიან
თივებზე აყუდებული ცარიელი კიბეების,
რომლებზეც არავინ აძვრება, ხვრელში
ცარიელი ოსტროვა და ცარიელი
ოსტროლენკა
ძველი სახლები ცარიელი ტყეებში ვიჟკოვის
შორიახლოს

დაჩები გლეხები რომ მოგაქირავებდნენ
თავად კი თავლებში დაიძინებდნენ
ყოველმხრივ გადაჭიმული ბიალოს ტყე
უკან იხევს რაც მეტად ვუახლოვდებით
დასაჩემებლად

ფუყე მუხები და ფუყე ნაძვის ხეები
კაცი წიგნს კითხულობს ცარიელ თხრილში
როგორც ერთ დროს ურიებს სჩვეოდათ
კითხვა

ცივ პოლონურ ნათელში იქ კიდევ
მამები ისხდნენ

დედები ტყის პირას გამოჭიმულიყვნენ
გზა დღენათლად მიდიოდა ტრებლინკასა
და სხვა ქალაქებში ბროკის ნაპირები
ბუგის გასწვრივ

ნალაქაშები ჭაობები
ხეს გამობმული ძროხები
წარსული რომელსაც მათი მოჩვენებები

გადიან
რომლების გავლაზეც მათი მოჩვენებები
უარს ამბობენ

ხვალე პოლონეთის ცარიელ მინდვრებში
ჯერაც ცივები მათი ფეხებისთვის
ცარიელი ტუმბო რომლიდანაც შავი წყალი
წვეთავს

ყინულის ბორცვს წარმოქმნის
მებარგულებს დამწვარი ჩხირები
გააქარწყლებენ
ფსკერზე იპოვიან ბავშვის სახეს
უხილავს და გაყინულს ქვაზე აღბეჭდილს

**... ჩემოს მიღმა ჩავლა
მთავარ გზაზე მის მიღმა ...**

მაისში,
გზად ვარშავისკენ,

ლიდიცეს
პატარა მოჩვენებები.

გლებების მწკრივი
მინას ჩიჩქნის

მუხლ-
მოყრილები.

კაცი კობტად რთავს
გზისპირა ტაძარს,

სველი ფოთლების
გროვას უტოვებს

ციცქნა ფიგურები
ბანაობენ ვარტაში

ციცქნა გაფიქრება იმაზე
რაც უნინ იქ იყო.

**ტყეში დამალული ტომარაში
გამოკიდული**

ინდიელივით

ყვირილი (უბნელესი
პაუზებისას)

არ ისმის მაგრამ შიგნეულად
არჩევს

რაც კი მისი ცხოვრება ყოფილა
და რამდენიმე რწმენით მისდამი

(ბავშვები

ან მკვდრები) სიცოცხლის ტვირთი
მეტად ველარ დავუძვრები

არყის ძილში (ყვირილი
მეტად ღრმა ჭრილობად

ატანს მის ძვლებში) შესაძლებლობათა
ზოჰარის ელვარე ლაქები

მამის ყვირილი

(ო დედაო გეჭირო) როგორ დავკარგე მე

ჩემი ენა

ჩემი ძვლების სიღმეზე ჩაღეჭილი
ხელი ეგების იღმუვლოს

დეკეულივით
და გახობდება რა მათ სისხლში

ჩემივე შვილები მოკვეთეს ჩემგან
(ჩემს პირში

გაჩხერილი მათი სულები კბილებ
გათოშილი

ყინულად ქცეული ოთახი

მთვარის შუქზე

ტყეებს შორის დაფრინავს

ყვირილი სული
მისი სიკვდილი განიხრახნება

უფესვებო
ღმად აღწევს ყვირილი რომელიც გესმის

ყვირილი არაა

DOS GESHRAY (კივილი)

"აღასრულე შენი კივილი" ვთქვი მე
(რატომ ვთქვი ეს?)
რადგან კივილი მისი იყო და არა ჩემი
ჩვენს შორის ეკიდა კაშკაშად
ეჭირა მარად ჩვენი შეგრძნებებისთვის
შუაგული ადგილი
შემდეგ ვილაც სხვა მოვიდა და ღრმად
ჩახედა მის თვალებს იქ იპოვა მოგონება
ცხენთა სწრაფი ჭენების წითლად შეღებილი
ბორბლები
მათ უკან პოლონელებმა ნადიმს
დღე მიუჩინებს მაგრამ ურიამ
იკივლა გამოკეტილმა თავის კარადაში
კივილი მის მაისურში
რომელსაც ხმა არ ჰქონდა რის გამოც
სპირალიქმნა სამყაროს გარშემო
ისე ველური რომ ქვებს ამსხვრევდა
ფეხსაცმელებს გროვებად ყრიდა
შესასვლელეებში
მათ ლურსმნებს ფანტავდა საგნები
მოწმობენ
- აცხადებს კანონი -
ფეხსაცმელები და ეს მეტად ძვირფასი ნივთები

როგორც თმები და კბილები მონმობენ
თავიანთი მყოფობით
ვერ ვიტყვი რომ ტკივილს იზიარებენ
ან აჩვენებენ ფოტოებიც კი ვერ
რომლებიდანაც მკვდრების გამომეტყველება
ანათებს
ყავარჯნები მათ გროვაში კიდურების
პროთეზები მათსაში
მონმობენ სათვალეები მონმობენ
ჩემოდნები ბავშვების ბაჩები გერმანელი
ტურისტები
ამ სასცენო დადგმაში რადაც ოსვენციმი იქცა
ასობები მის ჭიმკარზე ჯერაც ანათებენ
ჯერაც დიდად ანერია
ARBEIT MACHT FREI
და მის გვერდით **HOTEL**
and **GASTRONOMIC BAR**
ადგილის სული ჰაერში იხსნება
გულგრილი მისი მყოფობისადმი
იქ სხვა ლანდებთან ერთად
ბიძა გლოვობს
თავის ქუთუთოების გაყავისფრებას თვალი
ამოცვენილი მისი გავიდან
ეს კაცი რომლის სხეულიც
კიბორჩხალასია

მისი ნაწლავი გარე გამოზრუნებული
მისი ბავშვების ვარდისფერი ხორცი
მისგან გამოკიდული
მისი მუხლები ზედ ადი-ჩადიანი
არ არის ჰოლოკოსტი
ამათთვის არამედ ხურბნ მხოლოდ
სიტყვა ჯერაც თქმული მკვდრებისგან
რომლებიც ამბობენ ჩემი ხურბნ
და ჩემი შვილების ხურბნ
ამ ერთ სიტყვას აქვს მხოლოდ ლექსის
ნებაართვა

რადგან ის მათია
სიტყვა კივილის პრელუდიად
ის ტრაკის
ხვრელით აღწევს შიგნით
ნაწლავებში მიიკლაკნება
ვიდრე ყელამდე
და ამოხეთქავს
ყვირილით კივილი
მისი კივილია რომ მარხევს
მტირალს ოსვენციმში
და რომელიც ლექსს მოსვლის ნებას რთავს

DIBBUKIM (დიბუკები)

მკვდრების სულების სინათლეები
კრთიან (ამბობს ის) მათი რუახ
არასდროს დატოვებს მინას
არამედ ტყეები მინდვრები სავსეა მათით
საპირფარეშოების გარშემო ბედკრული
სულები

მილიონობით სული იცდის
ერთბაშად ქცეულნი მოჩვენებებად
მათითაა ჰაერი სავსე
თითო-თითოდ დგანან ხის ძირას
მის ანდა მთვარის ჩრდილში
მაგრამ თავად ჩრდილები არ გააჩნიათ
ამ წამს და მომდევნოს თავები
კლდეებად მოაქვთ მაგრამ ვინ გაცურდება
ვის გააცურებენ აქ მკვდრები ურიები
ბოშები ტყვიისთვალემა პოლონელი
პატრიოტი

სიმბოლოდ ქცეული ცოცხალი არსებები
იმის რასაც ცოცხლად ყოფნა ნიშნავდა
"ო მათ ნუ შეეხებით" ყვირის დედა
ჩოჩქოლით, ისე თითქოს ესიზმრებოდეს
გულგახეთქილს გულთან მიაქვს
თავისი ბავშვის ხელი მაგრამ უმანკო
მკვდრები

რისხვაში მოდიან კარებს ამტვრევენ
ლორწოს ასხამენ თქვენს მაგიდებზე
ფესვიანად იგლეჯენ ენებს
და თქვენს ნათურებს თქვენი ბავშვების
ტუჩებს

სისხლით თხვრიან ნახვრეტი კედელში
მათ არ დააფრთხობს ვერ გაყრის
მოპარული სახლებიდან ქვის

არქიტექტურებიდან
მათ რომ აძაგებთ ისინი მკვდრების
მხლებლები არიან

აჩრდილი მძლოლები ჯერაც მალკინის
გზას რომ ეძებენ ლანდი ურმები
ამობრუნებული

აჩრდილი ავტომობილები ლურჯ თხრილებში
რომ გვექონოდა თვალები საკმაოდ შეშლილი
მათ დასანახად გვექონოდა გულები რათა მათი
თავზარი გაგვეგო

თავზარი კაცის მარტო რომ მიდის
იმათი მსხვერპლი რომელთა სახლშიც კანშიც
ისინი ძვრებიან ინკუბი და სუკუბი
დიბუკი რომელიც ძროხიდან ხტება რათა მის
ყელში

დასახლდეს ურიების კონები
რომლებიც აქ თავს იყრიან უთმო დედები

შავწვერა მამები
ცეცხლს წყალს ლაფს სვლეპენ
საპატარძლო თმებს ხლართავენ
ანდა თავიანთ სამოსს გლოვობენ
დაჰფარფატებენ
ძონძების მდელოს ნახევრად დამპალი
ფეხსაცმელები
და სუფრები ძველი თერმოსები ბეჭდები
დაკარგული ბრბოები ცარიელ სინაგოგებში
დამ-დამობით მათი ხმები
მინდვრებს გადასერავენ
რათა შენი კაშა შენი ქერი დაალპონ
შეპყრობილები თავის მუავის ნვიმებქვეშ
არ ყოფილა ჰოლოკოსტი რადგან
მსხვერპლშენირვა არ ყოფილა
არა მსხვერპლშენირვა რომელიც
მნიშვნელობის
სიცრუეს შექმნიდა და არა მნიშვნელობა
აუშვიცის შემდეგ
მხოლოდ პოეზია არსებობს არა იმედი
აღარ დარჩა სხვა ენა განსაკუთრებლად
არა ენა და არა სახეები
რადგან სახეები აღარ დარჩა არც
სახელები
აღარ უეცარი გამოცნაურებები ქუჩაში

მხოლოდ მკვდრები ხვავიან ჯერაც
მხოლოდ ხურბნ
მკვდარი კაცი რაბინის სამოსში
რომ იცუცქება საცხედრე სახლის გარეთ
მათ საპირფარეშოებს რომ იცავს მძღნერის
ოსტატს
რომ უწოდებენ ძველი მალვიძარა
ჰკიდია ყელზე ცხვირქვეშ
რომ ჰკიდია ფოთლების გვირგვინი
ედემიდან "რათა ამ სამყაროს
აყროლებული სურნელი განდევნოს"

NOKHAUSHVITS (აუჰვიცის ჟამდაჰ)

ლექსი უშნოა და კიდეჲ მეტად აუშნოვებენ
სადაც ძალაუფლება ბუდობს
რაც დანკანს ესმოდა - ან არა -
როდესაც იმ სალამოს უსმენდა როგორ
კითხულობდა სხვა პოეტი
და თქვა "სრული სიმახინჯე იყო"
და ო იყო
იყო და ამან ლამის გული ამომიგდო
რადგან ლექსი არ დაუშვებდა ამას არა
არცერთ წვეთ მადლს არც სილამაზეს
დაებრკოლებინა
რასაც ჟამი ითხოვდა ან ლექსი
მძღნერი იღვრებოდა კედელსა და იატაკზე
ასო დაფლეთილი ძაღლის კლანჭებით
დაგლეჯილი გენიტალიები
და სიმახინჯე რომელსაც მოგვიანებით
გადაიტანდი რომელიც მათ გადაიტანჯეს
არა როგორც დანტემ ისიზმრა არამედ
კვამლსადენში
რომელშიც ისინი გასხლტნენ და რომელსაც
სხვები სამოთხისკენ
გზას უწოდებდნენ ციცქნა ბორცვები და
ხვრელები ახლა

და ქვეშ ზედ მათ შორის
გატეხილი სარკეები ქვაბები ტაფები
მომინანქრებული ჩაიდნები
შაბაშის დანნული მანდლები
სამლოცველო თავსაფრის ნაფლეთები და
სხეულის ნაფლეთები მისი
ბავშვის ძვლები მან თქვა ასე ხტიან
ტალახში ძვლების და ლაფის
გუბურაში სათუთი კიდურები
ნანევრდებიან
როცა კი ერთ-ერთს ქაჩავს სხეულის
მისტერია
მისტერია არაა სხეულები გაშიშვლებული
მერე სხეულები
ძვლებგაცლილი და გახრწნილი როგორ
უნდა განაფრთხოს
თავისი რისხვა სილამაზისთვის უნდა
გახადოს ლექსი
იმდენად უშნო რომ სხვა ხმების გაყრა
შეეძლოს
მაგალითად არტოს ჩხავილი სიმახინჯისადმი
მიმართული
ლექსი სიკვდილის ხელოვნების
ცდუნებასაც კი უნდა გაუძლოს სცენა
გამართული

ტრებლინკაში სალარო ჯიხურები
უშველელი საათი
საგზაო ნიშნები ამბობენ: გადაჯდომა
ბიალისტოკისკენ
მაგრამ ყვირის კაცი რომელმაც იხილა
ნაჭრის გროვები ურიები
ეს არაა საქონელი შენი საკუთარი სევდიანი
ხორცია
იქ გამოკიდული საბრალო და მომჩვარული
ცხოველებივით
სისხლი ლაბად შედედებული
იღლია რომლიდანაც გულის პარკუჭმა
გამოხეთქა
და დატოვა ასე ჩამოკიდული აკივლებული
მის ენაში გაყრილი ნედლი ფინალი
მეორე მის სათესლე პარკში ის ხედავს
პირს ხვრელს წითელ ხვრელს
ბავშვების ხორცის მენამულ ნარჩენებს
გაყინულან მათი თვალები ბავშვი ზღვის
სავარცხელას ჰგავს
იმდენად წვნიანი რომ ქერა უკრაინელი
დარაჯი
თავის პარასოლს უგუნებოდ ამოფარებული
გამოხტება
და სვლევს მათ თავისი რკინის კბილებით

და ყელში უშვებს, ჯვამს
ცხიმის და მძლნერის გლობულებს
რომ იღვრებიან ორმოში რომელშიც
მსხვერპლი -
გოგო რომელსაც ენა არა აქვს - აიხედავს
და წაიკითხავს თავის უკანასკნელ მწუხარე
გულისთქმას

დასკვნა დაკარგული ქალაქისთვის

[მაისი, 1988] "ამა გ ზით მოხველ..."

რა უნდა გითხრა ტკბილო ქალაქო?
რომ სნეულება ჯერაც შენშია
რომ მკვდრები კვდომას განაგრძობენ
რომ ბოლო არა აქვს სიკვდილს?
განსვენებულნი გაგვცემდნენ ამაზე პასუხს:
ქორწინება სასაფლაოზე
შენი ტკბილი ქალაქისთვის
ისინი იტყოდნენ ისინი რომლებიც ჩვენს
შორის აღარ არიან
და გამოანათებდნენ თავიანთი მშვენიერებით
და იცეკვებდნენ უნესრიგოდ
შენს ქვებზე ტკბილო ქალაქო
მკვდრები და ცოცხლები ერთად
ბუმბულებს
ქარი წაიღებდა როგორც ბუმბულებს
მათი თითებიდან არა როგორც ოქროს
როგორც ვარდებს
როგორც ყველა ნასვამ წინადადებას
რაც კი ოდესმე მივიღეთ მამებისგან ან
ბიძებისგან მათგან მივიღეთ
მოგვეხმო შენი ხატება კვლავ სიცოცხლეში

ტკბილო ქალაქო მათი ხმები ჟღერტულევენ
ღამურებივით შენი პატარა სახლების თავზე
მაშ ესაა ხმა რომელსაც სუნთქვა წარმოქმნის
უკანასკნელი ამოსუნთქვისას რომელსაც

მკვდრები გამოსცემენ

მთელი ცხოვრება რომ წყალქვეშ იცხოვრეს
და ახლა ამოყვინთეს ჰაერისთვის, რათა თავი
ამოყოთ პოლონეთში ცარიელ მდელზე

სხეულდაგლეჯილი მობანავეები

რომლებიც გაგექცნენ მათი გრძელი

ნაწლავები

გამოკიდული, ეძებენ დავინყებულ ტყეებს
სახლებსა და ნუგეშს

სიკვდილს რომ მოაქვს უენო ბავშვები

ციკვავენ წრეზე ერთ დროს გაშლილი

მდელი

ახლა დაიხურა მოგონებაში ტკბილო ქალაქო
ქარს მიაქვს დეიდაშვილების კივილი

იკარგება ნატიფ ქალაქებში

სიზმრებში რომლებშიც მოხუცი გხედავდა

ყოველ ღამე ტკბილო ქალაქო ეს კივილები

საწოლიდან რომ წამოგაგდებენ

როგორც ბავშვები ღმუიან მათი

სიტყვები

თაფლი გაჭედილი მათ წვერებში

მიეხეტებიან ბროკის ქუჩაზე ჩაუვლიან
რუსულ ეკლესიას
ექიმის სახლი მის გვერდით სიზმარში
მძიმე და თეთრაგურებიანი ნაპოლეონის
მოედნის
თავზე რომ მისრიალებენ ო პატარა ბალებო
პატარა პარკო
სადაც უნინ საყვარლები ხვდებოდნენ
საყვარლებს ბავშვები
ჯერაც იჭერენ თევზებს შენს ციცქნა გუბეში
მისი ჯერაც წყალმცენარეებით მწვანე
ზედაპირები
ო ეკლესიის ზარების ხმებო - ბიმბომ -
გაყინულ ჰაერში
სიკვდილს რომ უხმობთ ო სიკვდილო ო
ფერმკრთალო ფოტოგრაფო
ო სისხლით მოთხვრილო ტკბილი ქალაქის
ფოტოებო
ო ფოტოებო მისი ქუჩების მისი გამქრალი
ხალხის
ო მოხეტიალეებო რომლებმაც იხეტიალეთ ო
შორეული მკვდრების გვამებო გვამებო აქ
დარჩენილთა
ო სახეებო ო მიმქრალო სახეებო დაკარგულო
ღიმილებო ო გოგოებო გოგოებს რომ ეკვრით

უსიკვდილო ფოტოებში ო ცხოვრების
 სურათებად
განელებულო ცხოვრებაო შენ მშვენიერო
 და სუფთა ტკბილო ქალაქო
გიხმობ და გიძახებ პასუხი გამცე

სამახსოვრო შემთხვევა

შლეგი და უშიშარი ვიყავი
ორგზის გაცურებული
რისთვისაც კმაყოფას
ხეში
ვეძიებდი. მეტად უდარდელად
ველტვოდი სიყვარულს
და ძირს დანარცხებულმა
შენ მოგაგენი
სიცეტესა თუ სიმშაგეში
ეზო-ეზო ვატარებდი
მთელ დღეებს.
შენვენას არ ვთხოვდი მათ
ვისი რწმენაც სუსტია
მაგრამ უახლესსა და უმცირესს
ვიძენდი.
ცხოვრებას რაღაც პრაქტიკულს ვახმარ
- სამახსოვრო შემთხვევა -
ცალ ფეხს სივრცეში ვაბიჯებ
დანარჩენები გარბიან მიგდებულები.

არც შენი ბატონი არც ყმა
შეგეყრები
ნებათა თანასწორ ჭიდილში
და დაგცემ.
მინას შაბათობით ვეხები
მხოლოდ.

სადაც ღმერთი ნათელია

ჯოჯოხეთში დაკარგულნი
ვირთხისსახა მკვლელებს
შორის.

მე მათთან ვარ.

ჩემს ქვეშ წყალი

დგას გვირაბის პირას.

ვხედავ ჰაერში აზიდულ

შემდეგ მორევში ჩაცვენულ

მოტივტივე სხეულებს.

აქ სადაც ღმერთი ნათელია

ყავისფერი დედამინა

გამოკიდულა მწველი

ჯოჯოხეთის თავზე.

თვალები მარჯვნივ ტრიალდებიან.

იერონიმუს (ჩემო სეხნია)

ნება მომეცი გამოგართვა

ეს ნახატი.

მეძვირფასება შენს წრეებში სიარული.

როგორ ფიქრობ, ნათელი სველია?

დაივინყე პატარა მამაო

და შინ წადი.

გასაღები ხელმძღვანელობას დაუბრუნე.

ვინმე რომ გკითხავს

ღმერთის თუ გნამს
გაფრთხილდი.
ახლა ყველგან ანგელოზები არიან.
უკან ნურასდროს მიიხედავ.

მე გადავიხადე საფასური და წავაბე

ხელმოცარული სამყაროს
ღმერთო
შენ ჩემი პირიდან იშვი.
მე ვუყურებ როგორ კვდები.
კუნთები ყვავილებივით გიგროვდებიან
ყელთან.
შენ მაჯას მიქნევ.
მას შენი საათის სამაჯური
სძვრება და იყინება.
მე გხედავ კალთაში
ჩვილით
ან კრავით.
დროის წინააღმდეგ მომუშავე
ბებერებიანო მოხუცო
შენ დანას არჭობ
ჩემს წიგნში.
თოჯინასავით რბილი ჩვილი
წინ იხრება
ხრჩობით.
ბორკილებიანი კაცი
ქალის
ძუძუს წოვს.
ფეხები

უსხეულოდ დადიან.
მე გადავიხადე საფასური და წავაგე.
და შენ?
გინახავს მათი
ხარკის თამაში?
ან კი მოგიგია
გადაუხდელად?

ჯიბეში რუკა მიღვს

სინათლებს ჩემს
თითებქვეშ ვეძებ.
მე მათ ავიღებ და დავაბრძენებ
სულელურ გონებს.
და ჩემ მოჭუტულ თვალებს რომ
მივანკიპურტებ

შენ ფართოდ დაგელება პირი
და მე ჩემი დროშებით გავცურავ.
შენ ტაშს დამიკრავ
მაყუთისთვის რომ დავჩხაპნი
შენს ჩრდილქვეშს.
მე რომელიც აღვიჭურვე საიმისოდ
რომ დავამხო რასაც შენ აშენებ
შენი სახლები შენი ფერფლივითაა
მოხვეტილი.
მე ცას ვეძებ შენთვის.
წვიმს.

კვირა დღისთვის მეტისმეტად თბილი ქარი
მწვავს თვალებს.
ჯიბეში მიღვს რუკა
რომელსაც ვერ ვკითხულობ.
მთელი დღე შენთან დარეკვას ვცდილობდი.
სადაც ავტობუსი გაჩერდა

ხალხმა ჩაიარა
მკვდრებზე.
ვიცოდი შენი სახლი იქ იყო
ქუჩის კუთხეში.
სახლი უზაროდ
ისეთი როგორსაც ვერ
შემოუვლი.

ყოველ ღამეათზე

მე ქუჩა-ქუჩა დავძვრები
იმედით რომ ძალი
არ მომინადირებს.
როცა კანი მეტისმეტად
მიმაგრდება
უცხოებს ზურგს ვაქცევ.
გრძელ ღამეებს
მავზოლეუმებში ვატარებ
როგორც პრინცი.
სისხლი მდის
როდესაც ხორცს ვკბენ
ჩემს ცერზე.
სიკვდილის შიში გასულ
ზაფხულს დავკარგე
და მინდა ყველა მეგობარს
ვასწავლო ეს ხრიკი.
ჩემია ორმაგი ხედვის
შემთხვევა.
გემო ჩემი ყელიდან
წარმოიქმნება
და არა
პირუკუ.
ისე ვტირი რომ

სიბრალულს ვიმსახურებ.
ვიბრძვი რომ ძილისგან
დამალვა შევძლო
მაგრამ ყოველ ღამე ათზე
ის მინასთან მასწორებს.

უკანასკნელი მეგობარი

იმ დღეს როდესაც ბოლო მეგობარი
კვდება
ჩვენ მარტო ვსხედვართ.
მნახველი
კოსმოსიდან
ძალიან ცდილობს
ჩვენს მოხმობას.
ვიღაც ამბობს
სიკვდილი ჭამე.
მე პასუხებზე ვთევზაობ
მაგრამ კითხვები
მაინც არ მოდიან.
მე პატარა ფლაკონს ვიღებ
შენი ჯიბიდან
ვყნოსავ და კინალამ ვკვდები.
უკეთეს შემთხვევაში
პოლიცია უგულისყუროა.
არც ანგელოზებისთვის დარჩა ადგილი.
ქარიშხალი უბერავს მექსიკიდან
სადაც უნინ გვიხეტივლია.
სუნთქვის დროს
შენი მკერდის
აღმა-დაღმასვლა

ცხადი პასუხია.

რაიმე მტკიცებულება მჭირდება:
რომ ჩემი სიკვდილის შემდეგაც კი
სამყარო გაგრძელდება.

სასტიკი ნირვანა

ნახევრად მკვდარი
მაინც ცოცხალია
და ნახევრად ცოცხალიც.
ჰოდა მიაწეი
ვაცხადებ მე.
სხვები ირევინ ოთახში
ქალაქის თავზე
სადაც ცეცხლი ანთია.
ისინი მღერიან.
მე მათთან ერთად ვმღერი.
მერე გზას ცერა
თითით ვიკვლევ.
მე ცხოვრებას
ქვიდან ვიხანგრძლივებ.
მძლავრი ბიძგებია მოსალოდნელი.
ყურის ძირში
წყლის სიმღერა
მომესმის
და მის კვალს მივყვები
საითაც მიმიძღვის.
ზაფხულია
მაგრამ ხეები
მოკვდნენ.

უჩინარდებიან ჩვენს
დაცემულ მეგობრებთან ერთად.
ტანჯული თვალი
მათ ძირს სცემს
ყოველი გონება მცირე სამყაროა
სასტიკი ნირვანა.

მე ახალ სამყაროში მოვდივარ

ხმები მდუმარებენ სანამ
მე არ ავმეტყველდები მათთვის.
ხმას ვგრძნობ ბგერისას
რაც ორ ცეცხლს
შორის მაქცევს. ერთი
მუქი მწვანეა, ერთიც
ჩემი ჩაძინებული გონების
ფერი. მე ახალ
სამყაროში მოვდივარ
სადაც სიკვდილზე ფიქრი
აღარავის აღიზიანებს.
რა კარგი იქნება როდესაც
უცხოონი ვიქნებით მარად
გვეცოდინება სტუმრობის
პირობები წინ და უკან
და აქეთ-იქით.
დილაობით დაფებივით
უშველებელ მხრებიან
კოსტუმს ჩავიცვამ. ჩემი სამოსი
ვერცხლისფერი პლასტმასისაა.
ფეხს მანქანაში ვადგამ
და ის წამსვე მიფრინავს.
ბავშვებს

ვეთამაშები
და
ცხვირს
ვიყურადებ.
გული ჩემი
საათის მსგავსად
უახლოვდება
აღმოდებულ ჩვილს
და იქვე რჩება.
ახლა თითო-თითოდ
დავითვლი
საუეუნეს.
ყველა ხმა ჩემს სიზმარში
დღეს დილით
ერთი და იმავე ხმით მეტყველებდა.
*მეამაყება აქ თქვენს
შორის ყოფნა.*
ამიერიდან
ჩვენ ნასესხები
დროით ვიცხოვრებთ.

1 იანვარი, 2000

მე ის ვარ რაც ვარ

მე ის ვარ რაც ვარ
გამოსცრის ღმერთი.
(ის ისეთივე ღმერთია
როგორც მე ან შენ.)
ჩვენ ვხედავთ მისი ციციქნა ნავეების
ნაპირთან მისვლას
და ვუყურებთ მამაჩვენების
ჩვენი შვილების მსგავსად
კუნთებით ტალღების პობას.
ჩემს ყელში არის ყვირილი
ნებისმიერი ყვირილის მსგავსი.
ვიცი ერთი ბრბო
რომელიც ვერ ხედავს
ჩვენი კანის ფანტელებივით
შრეებად ცვენას.
ყველა თვალი განმჭვრეტს
თუ სად ვეცემი.
არავინ მოითხოვს
ხარკს
რომელსაც მოვისვრი.
ვერ ვიტან
როცა ქაქში მითხვრიან ბუდეს.
რასაც კი არ ვუმხელ

იმათ ვისაც
ჩემს გვერდით სძინავს
იმის აღრიცხვაა
თუ ვინ არიან.
ბებრებს აბუჩად ვიგდებ და
დღეებს ვუშხამებ ჩამოფასებით.
ახალშობილებს
რიცხვებს ვუმატებ
- როგორ ან რისთვის
არ ვუფიქრდები.
ჩემს ძველ გზებს
ვურევ და ჩემს
უმნეობას ვმაღავ.
დღეს შაბათია
ან და მარადის.
წიგნი მთავრდება
სადაც წიგნი
დაიწყო.

დამალვათა წიგნში

ყველაფერი დამალულია,
მაშასადამე წიგნი
მიიღევა გვერდები
ჯერაც ერთმანეთს მიწებებულნი
უნდა გაიხლიჩონ
დაშორდნენ. კვლავ მოგესალმები,
საყვარელო პატარა გვრიტო,
ჩვენ შევთანხმდით
რომ ვიქნებოდით შენი შეშლილი მღევრები.
კენჭიან სანაპიროზე ვდგავართ,
ქვიშა უკან იხევს,
ათასობით მანათობელი
მედუზა გვიღობავს
გასასვლელს.
ძალიან გვინევს თვალების დაძაბვა
რათა კითხვა შევძლოთ,
ასოები ჯერაც
გაგვირბიან, წინ და უკან
იხრებიან,

ისე უცებ შთაინთქა
სამყარო.
დამალვათა ნიგნში
ბოლო გვერდზე
ვპოულობთ დანერილ საიდუმლოს
ალმაცერ სიტყვებს,
მოგუგუნეთა შორეული გუნდი
აბნელებს მინას.
ჯარები არასდროს ჩერდებიან.
კაცები რომლებიც თევზაობენ
მეთევზეები არიან,
მთელ სიგრძეზე ხაზებს ავლებენ,
ორი ძაფი, ერთ მხარეს
წითელი
ერთ მხარეს შავი,
კაცის მჭიდროდ
დახუჭული თვალი.
რაა ეს სიფრიფანა სიტყვები,
რომლებითაც ისინი გვიმასპინძლდებიან?
"შენ წყლების უფლისწული ხარ"
წერია გზავნილში.
"მე შენ მიყვარდი."

დამწვარი წიგნი

არის დამწვარი წიგნი
რომელიც წიგნად რჩება,

ფარული წიგნი
რომელიც, ვინმეს რომ გადაეშალა,

დროის კედლებს
ჩამოანგრევდა, დაე

გამოჟონოს
ცრუ სამყარომ და

დაეუფლოს
ნამდვილს.

სხვადასხვა

პოეტების სამოთხე

ის წიგნს იღებს თავისი თაროდან და ზედ აწერს ტექსტით სავსე გვერდს: მე უკანასკნელი ვარ. ეს ნიშნავს, რომ როცა ის მორჩება, მორჩება სამყარო.

.

ინფერნოში დანტე წარმოიდგენს პოეტების სამოთხეს და მას ლიმბოს უწოდებს.

მას ყოფნის სისულელე, იფიქროს, რომ მისი ადგილი სხვაგანაა.

.

ახლა დადგა დრო, დაინეროს ლექსი პოეტების სამოთხეზე.

ჩიკაგოს ლექსი

ტედ ბერიგანს და ელის ნოტლის

ჩიკაგოს ხიდები
არაა პარიზის ხიდები
და არც ამსტერდამის ხიდები
თუმცა ისინიც განმარტებებია
რომელთა განმარტებითაც თავს თითქმის
არავინ იწუხებს
როგორც მოულოდნელობებით სავსე
ცხოვრება
ქალაქში რომელიც ახლა ისე ჩანს
ამერიკის უძველესი თანამედროვე ქალაქია
ო გამოჩენა მომავლის კინო ვერსიის
დაახლოებით 1931 წელს
ხიდები მალე გაივსნენ ხალხის მუშათა
ჯარების
მოძრავი რიგებით
პირველი დეკემბრული სტუმრობის
სიბნელეში
წყლის გაყოლებაზე
ჩიკაგოს მდინარის რკალი
არქიტექტურის ქარაფები როგორც
პალისადები

დამით ვარსკვლავები ფანჯრებში
ვარსკვლავები შენს მიერ დაწერილ ლექსში
ზეცა

რომლის გავლითაც ჩიკაგოს მატარებელი
მიაქანებს თავის განათებებს
ბავშვობის ნიუ იორკულ ქუჩებში
ზეცა ჰგავს ყელსაბამს (ყელსახვევს) ენაში
რომელზეც ინერებოდნენ
ძველი ლექსები ძველი მოგონებები
რევოლუციის წინა ღამის ძველი
ფრიც ლანგ ხილვები მშრომელი ხალხის
საბრალო სულები ყველას რომ გვიყვარს
მამები ან ბიძები

დაკარგულნი ჩვენთვის შორისმდებარე
1960'იანების დოღბანდებსა და ოცნებებში
სადღაც არიან ინდიელების მთელი ტომები
დასახლებულნი

გვირაბ სამოთხეებში
ისინი მშვიდად დაიცდიან
მერმისისადმი სრული რწმენით აღძრულნი
ყველამ იმდენი ძველი რომანი იკითხა
იქნებ კატასტროფის ეკონომიკა ტედ
გონების დეპრესიები
ასე რომ არ გვანან ნორჩი წლების
დაპირებებს
ახალგაზრდობის ბზინვა სიკვდილს რომ

ამსუბუქებს

გორაკის თავზე ლორენს კანზასში
შუადღის ზეცა გაალუმინდა
(ილუმინაცია)
დაფზე დაკრული გველი შიშის
დასაამებლად
მატერიალური გვამი ასე დაუცველს რომ

გვტოვებს

ყველა მივა მასთან მგონი
მგონი შენ ვერ ამულამებ
ასე ხელმიუნვდომლად შორს წასული
მაგრამ ჩვენ ვრჩებით და მალე
კიდევ ერთხელ გესტუმრები
იმედი მაქვს გავისეირნებთ
ერთად ღამეა და ჩვენ
არც ისე ცუდად გამოვიყურებით ორმოცს
გადავაბიჯეთ

ჩვენივე სევდით კმაყოფილი პოეტებივით
ჯერაც ადამიანები ანტიკური ხიდებით
კიდულ ქალაქში
შენ შენს აბს ყლაპავ მე ვიცინი
ვიხსენებ ამერიკის
მომავალს და მახსენდება
როგორ ვწერდით ორივენი ჩვენს ცნობილ
ლექსებს სახელად

ახალი დროება

ტკივილი

როგორც სახელი რომელსაც ლექსს
დაარქმევდი

ესაა ცხოვრების ნიშანი ეს აღიძვრება
რამდენჯერაც კი გავმოძრავედებით
ესაა ტვირთი მკვლევებისა
ნახე როგორ მიდი-მოდიან
რა სიამეს იღებენ მისგან

რადგან რასაც ბუნება გასცემს
არ კმარა
ცხოვრების ვალი მისი განვრცობაა

გასხივოსნებაც ტკივილია

და სიყვარულიც

იესოს ხილვები

ვთქვათ, იესო იყო. ვინ იყო იესო? რატომ
უნდა იყოს იესო სახელი
რომელსაც ახლა ვადიდებთ, ლექსის
შემოსასვლელში?
ანდა, ვთქვათ, არ იყო. რომ გასაღები მაქვს
მის
ბგერასავით გასაღებად. ყოველი ბგერა
რისხვანა.
ყოველი გვერდი გადატრიალება. ამას ისე
ვწერ
როგორც მოძღვარი გასძახის სიტყვებს
პრერიამი,
იესოს ხილვები ყველგან.
ტკბილო იესო, ამბობს სიმღერა, რომელსაც
გონება პასუხობს
კეკლუცად, პირქუშად, "მწარე იესო",
და ლექსიც მაგით იწყება.
ვარდისფერი იესო. პანანინა იესოები
ყოველ ბუჩქზე, ავშნების სამყარო ახლა
ციცქნა იესოების სამყაროა.
ან იქნებ რბილი იესო. ჩამდგარი იესო.
(შეიცავს თუ არა ბოლო ფრაზა სექსუალურ
დაგებას

თუ იგივეა რაც "ნაზი იესო"? "დაისიესო"?
იესო ოკლაჰომაში
მოჭრილი ნვერით. მტირალა გოგო
სახელად იესო. ის ძუძუებს ყრის,
საიდანაც მთვარე ხტება. ო, მენსტრუაციები,
შეღებელი მინები
და ქალღდეები, ჩიტები სასიყვარულო
გზავნილებით, ტრალა ლა, მეტალის
ფრთებით. მისი მეორე სახელია
როლო, ბები ვინჩესტერი
ან ბები ლავ. იესო ძროხის თავით
კისერზე, სანთლები არჭვია
თითისწვერებზე. იესო თავის ცალთვალა
ფორდში.

ყვა ყვა, ყვირის მოძღვარი.
მრევლს თვალეი უთეთრდება. ფოიერვერკი
ნაპერწკლებს ისვრის მის კალთაში.
ქურქმოსხმული იესო. იესო ოკლაჰომაში,
დაბერებული.
მხურვალე და მანათობელი იესო. იესო ტუზ
გულზე.

აღფაღა იესო.
მე ამას ისე ვწერ როგორც შულერი კვეთს
თავის სახელს
მაგიდაზე. იესო მაგიდის ზედაპირზე.

დილიდან სვამს, კუნკენს ეთამაშება
კობას ძმას უფლისა.
იესოს სხვა სახელები.
იესო ჰ. ჯონსი ანუ ხიმინჯის იესო.
ტამტამ იესო.
იესო რომელიც პირში ტყვიას იხლის.
მისი შვილები ჯვარზე კიდებენ მის სხეულს.
სამი იესო იფსილანტიდან.
სამი ც ტიმომინგოში.
ფორტ სილში დამარხული იესო.
მისმა ტანჯვამ მათი სხეულები
გამოაცარიელა. ღამის ცაზე ელ რენოს რომ
გაცდები
იესო საკუთარი ტკივილი ხდება და ფრინდება,
აპირებს თვალელები სხვებს დაუტოვოს.
დედაო იესო.
შვილებმა მიატოვეს.
სწავლობს როგორ იტიროს და ყოველ ღამე
მაჯონგს თამაშობს, თავის ფიცრებს
ისვრის უძირო ტბაში.
კაცი რომელიც ძვლამდე იღრღნის მაჯას
აგრეთვე იესოა. იესო
ბუმბულებიანი ჩაჩისქალით. ვარსკვლავებს
იჭედებს
ჟილეტზე, ო, ელამო იესო,

მოხეტიალე მინსკიდან,
რომელიც წვირილი ვაჭრების ენაზე ჩხავის,
კოცონთან ჩაცუცქული, მათ ყავას
ურევს თავისი ხელსაწყოთი. როგორ
დაემსგავსა

საკუთარ ბაბუას. კოიოტი იესო.
ოფლსადენ ვიგვამში აკუებს,
ღიღებმოჭერილი
პატარძლის ოთახში. იესო
პონკადან. პაუნის ტომელი იესო.
ის იესოს თვალს აშტერდება
რომელიც მის თვალს აშტერდება.
მათი თვალის გუგები ბზრიალებენ
პლანეტებივით.
იესოს ხილვები ყველგან.
შულერი იესო.
ბანკირი იესო.
ბრტყელტერფა იესო. ათაშანგიანი იესო.
კარტისმსროლელი იესო.
ჯარისკაცები იცავენ მის მდუმარე მარაოს,
მიბლანდულს, მის ჩხარუნას.
იესო ტროტუარზე. სიყვარულზე აშლილი
იესო, ექიმბაში იესო,
შიშველი, შენსკენ მოხობავს,
ნარწყევით წვერებზე. მამამისის რძე

წვეთავს - ტყლაპ ტყლუპ - ჯამში
სახელად იესო. მოჩვენებები
აძრობენ მის სამკერდე ფილას, რძის
ორ ნაკადს ღვრიან,
ურევენ, დედის
საშოს ხსნიან. არცერთი ბებიაქალი
მასთან არ მოდის, ის კაცივით
მშობიარობს და სიზმარში
არწევს მას. ძველი სიმღერა
იფეთქებს კაიოვას ცეკვის დროს,
უკურთხებელ ეკლესიაში
ლამით, ბედკრულთა
ბრბოში. ორს მივუმატოთ ორი
უდრის იესოს. ხუთი უდრის იესოს.
იესო უდრის ოკარჩის,
საჭესთან. იესო თავის ცალთვალა ფორდში,
ფეხშიშველა მოდის ცეკვიდან.
იესოს ხილვები ყველგან.
იესო გახვეული ქალის თავშალში.
იესო კუთხეში,
ეფერება თავის მკვრივ სხეულს.
მასტურბატორი იესო.
იესო ცხიმის ბურთულას წოვს.
აღარ დარჩა ენა რომელზეც ის
იმეტყველებდა,

მხოლოდ ზუზუნი მის მკერდში,
მარცვლების ნიაღვარი
როგორც თაფლი. იღვრება
ყველა ხვრელიდან, უსიტყვებო
განდგომილებისა და მოძღვრების
ხმა.

ვარდისფერი იესოები ოკლაჰომაში,
რომლებიც გაზაფხულს მოჰყვებიან.
ლოქო იესო.

ზურგზე იესოს სახე ამოკანრული
ხოჭო, საცეკვაო იატაკს
მისრესილი.

იესო ჩხავის ანგელოზების ხმით.

მე ისე ვწერ ამას როგორც კაცი მეტყველებს
უსიტყვებოდ.

უსიტყვებოდ იმ სინათლეში ის რომ საკუთარი
პირიდან გამოქაჩავს. იმ ხვრელებში ის რომ
თავს აფარებს და იმალება.

უსიტყვებო ხოტბაში. უსიტყვებო პეიოტეში.
უსიტყვებო საღმებსა და ალილუიებში.

სირისტიანი ურია თავისი საცოლის
გვერდით ძვრება, მარადმძინარე, ითვლის
დათვებს

და კადილაკებს
ცის ქვეშ რომელსაც გასდის.

მეოცე საუკუნე საზღვრებს გარეშე

როცა მეოცე საუკუნე მიიღევა
მეცხრამეტე დგება

ისევ

ისე თითქოს არაფერი მომხდარა
თუმცა მათ ვინც ის იცხოვრეს ეგონათ
რომ ყველაფერი ხდებოდა
იმდენი რომ სამყაროსთვის და დროისთვის
მიგეცა სახელი

რომ ხელში აგელო

ზღვარდაუდებელი ბოლო სიცრუე
როგორც სიკვდილის სრულქმნილი ნილაბი

**ჯერომ როთენბერგი,
პოეზიის მწარმოებელი**

ლექსი არის აღქმიდან ხილვისკენ
მოდრაობის ჩანაწერი.
პოეტური ფორმა არის ამ მოძრაობის
გამოსახულება დროსა და სივრცეში.
ღრმა სახე-ხატი შიგთავსია იმ ხილვისა,
რომელიც ლექსში წარმოიქმნება.
ამ მოძრაობის ხელსაწყო წარმოსახვაა.
მოდრაობის პირობა თავისუფლებაა.

ჯ. რ. "პირველი მანიფესტი 1960"

ჯერომ როთენბერგი 1931 წელს დაიბადა ნიუ იორკში. ჰიპერბოლიზების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ დღეს, 87 წლის ასაკში, ის, თავისი პოეტური, მწერლური, თეორიული, მთარგმნელობითი, გამომცემლობითი, ანთოლოგიისტური, პერფორმატიული, მაგრამ პირველ რიგში, თავისი დაუღალავი ექსპერიმენტატორული ძიებებით (ამ მხრივ, მისი პოეზია პიკასოს-

ეული სიუხვითაა დალდასმული), უდავოდ, მესამე თაობის ამერიკული პოეტური ავან-გარდის¹ გურუა და დღემდე ცოცხლად უჭირავს თავისუფალი ამერიკული პოეზიის ხაზი.

ადრეული "ღრმა სახე-ხატის" ძიებები როთენბერგმა იმად აქცია, რასაც ახლა **ეთნოპოეტიკა** ეწოდება, და, ამრიგად, პოეტური გადმოსახედიდან, ლამის ნაშალა ზღვარი ეთნოლოგიასა, პოეზიასა, ეთნობოტანიკასა, ეთნოგრაფიასა და სხვა ამგვარ სფეროებს შორის, ანდა, უკეთ, არა ზღვარი ნაშალა, არამედ პოეტს აჩვენა გზა, როგორ შეუძლია, საკუთარი პოეზიით იყოს ნამდვილი (და უცხო) სამყაროს საქმეების სერიოზული მკვლევარი. ამ გზაზე მან ადრევე შეიმუშავა "ტოტალური თარგმანის" მეთოდი, რომელიც ინდიელების სიმღერების არა მხოლოდ შინაარსს, სიტყვების მნიშვნელობებს, არამედ მათ შორის და გარშემო არსებულ უმნიშვნელო ბგერებს, მარცვლებს და ნაწილაკებსაც თარგმნის. ასე დაუკავშირდა ეთნოლოგიური კვლევა დადაისტების (ვთქვათ, ჰუგო ბალის) ექსპერიმენტებს "ხმოვანი ლექსის" სფეროში.

ესაა ჯაჭვი, რომელიც პოეტური ლოგიკით აკავშირებს ერთმანეთთან როთენბერგის ორ

პოეტურ ციკლს: *სენეკას დღიურს* და *ამ დადა მოდემას*² - ამ სერიულ ლექსთაგან პირველი ეთნოპოეტური მედიტაციაა სენეკას ტომის ინდიელებთან გატარებულ წლებზე, ხოლო მეორეში ის უბრუნდება თავის (ჩვენს) დადაისტ მამებს, რომელთა მხრებზეც არა მხოლოდ სურრეალიზმი, არამედ მთელი მომდევნო ექსპერიმენტული პოეზია დაშენდა.

და ამის მიღმა: დადას ზღვარგადასული, დამანგრეველი, ანარქისტული და სულელური სულისკვეთება ინდიელების მითოლოგიურ/არქეტიპულ ფიგურას, ტრიქსტერ კოიოტს ებმის. ნებისმიერი შეამჩნევს: თავის პოეზიაში როთენბერგი სწორედ ასეთი ზღვარგადასული ტრიქსტერია; თეორია მისთვის მუდამ თამაშია, ცოდნა კი ერთგვარი ბავშვური სიხარული (როგორც თავხვია მხიარული, როდესაც წყალში ცურვას სწავლობს, ხეს ღეჭავს, აკუეებს).

მაგრამ როთენბერგის ყველაზე გამორჩეული ტრიქსტერი ფიგურა ალბათ მისი "ქოქბოია" (სათაური ვისენტე უიდობროს ლექსიდანაა აღებული: უიდობროს ლექსს ალბათ Cowboy უნდა რქმეოდა, მაგრამ როდესაც ის 1918 წელს ტრისტან ცარას "Dada 3"-ში დაიბეჭდა, ტიპოგრაფიულმა შეცდომამ - თუ ბედის დადა

ხუმრობამ - ის Cokboy-დ აქცია), ერთგვარი პარადიგმატული ფიგურა, რომელსაც კიდეც ერთ მძალავრ და, იქნებ, ყველაზე ფუნდამენტურ კავშირთან მივყავართ: ლექსი "ქოქბოი" კრებულ *პოლონეთი/1931*-ის ბოლო ლექსია, რომელშიც როთენბერგმა თავისი ეთნოპოეტური ძიებები საკუთარი წარმომავლობისკენ მიმართა: მისი მშობლები პოლონელი ებრაელები იყვნენ; მას მერე, რაც ისინი ამერიკაში გაემგზავრნენ, მათი მთელი ოჯახი, მთელი სოფელი ნაციზმს შეეწირა; 1931 როთენბერგის დაბადების წელია და ამ პროგრამულ კრებულში ის ცდილობს პოეტურად შექმნას თავისი ორეული, სხვა როთენბერგი, აჩრდილი, რომელიც დაიბადა პოლონეთში, თავის მოდემის ხალხთან ერთად ცხოვრობს, როთენბერგი, რომელიც სხვებთან ერთად მოკვდებოდა ნაციისტური რეჟიმის დროს... მაგრამ *პოლონეთი/1931* პრეკომმარული სამყაროა: ვოდევილი, კომედია, ებრაელები აქ "მისტიკოსები, გიჟები და ქურდები" არიან...

და ქოქბოი? *ქოქბოი* სწორედ იმიტომაა ნიგნის ბოლო ლექსი, რომ ეს ტრიქსტერი არის ებრაელი, რომელიც ამერიკაში ჩადის, სადაც ინდიელებთან ხვდება; მას "კაბალისტური კა-

ნონი" ჩამოაქვს "ველური ბუნების მკვიდრებთან" ("უნაგირმტკივანი მოველ / ურია / ინდი-ელებს შორის / რა მინდა ამ უცნაურ ადგილას / ამ უცნაურთვალეა ხალხში / იქნებ შარია / იქნებ იქნებ"); ამრიგად, როთენბერგის პოეტური ტრაექტორია სწორედ ესაა: მისი "საკუთარი" მოდემის გენოციდი ტრაგიკულად ირეკლავს იმ ხალხის გენოციდს, ვინც ამერიკაში დახვდა, იმ ხალხის, რომლებსაც თავად დაუკავშირა თავი, რომლებთან ერთადაც იცხოვრა, რომელთა პოეზიასა და ხილვებსაც ამდენი წიგნი, ამდენი კვლევა, შრომა, ზრუნვა და ფიქრი დაუთმო.

"ყველა ჟამი თანადროულია გონებაში" თქვა, და თანამედროვე პოეზიის პრინციპად აქცია, ეზრა პაუნდმა - როთენბერგთან ეს მენტალურ-ისტორიული კოლაჟი (ან **ასამბლაჟი** - სიტყვა, რომელსაც თავად როთენბერგი "ანთოლოგიის" ნაცვლად ხმარობს) ხდება არა ანგლო-ამერიკელი მოდერნისტებისთვის დამახასიათებელი მძიმე, ენციკლოპედიური სერიოზულობით, არამედ ისე, როგორც დაახლოებით მათ თანამედროვე და თანამემამულე ძმებ მარქსებთან: ბურლესკის, გიჟური კომედიის სახით.

მაგრამ კომედია მხოლოდ ერთი მხარეა იმის, რასაც ერიბერტო იეპესმა როთენბერგის "იანუსური პოეზია" უწოდა. სწორედ ეს თანადროულობა ანიჭებს მას უფლებას, 80-იან წლებში დაბრუნდეს (ანუ პირველად ჩავიდეს) პოლონეთში, მოინახულოს ის მოჩვენებად ქცეული ადგილები, სადაც მისი წინაპრები დახოცეს. ამის შედეგად იქმენა მისი შედეგრი, *ხურბნ* (ამ იდიშური სიტყვით პოლონელი ებრაელები "ჰოლოკოსტს" მოიხსენიებდნენ), რომელშიც მისი პირით ებრაელი მკვდრების დიბუკები [=უდროოდ მოკლულთა სულები, რომლებიც ცოცხლებს უსახლდებიან] მეტყველებენ (ახლა ამ წიგნის ადრეულ შემზადებად შეიძლება, როთენბერგის სულ პირველი სერიული ლექსი, *ჯიგოკუ ზოშის შვიდი ჯოჯოხეთი* დავინახოთ). აქ აღწევს როთენბერგი თავის უმთავრეს ფორმულას (contra Adorno): **აუშვიცის შემდეგ, მხოლოდ პოეზია არსებობს**. პოეზია, რომელიც "ბარბაროსული, ვრცელი და ველურია."

პოეზია როგორც უღრმესი საზრისის შესაძლებლობა აზრგამოცლილ, უსულო სამყაროში.

როთენბერგის პოეზიაში უსაზღვრო სევდაც და უსაზღვრო სიხარულიც, სიამეც ერთ-

მანეთშია გადაწული: სამყაროში ცხოვრების სევდა განუყოფელია პოეზიაში ცხოვრების სიხარულისგან. ყველა მისი ფორმალური ექსპერიმენტი – კოლაჟი, ასამბლაჟი, პარატაქსი და სხვები – იქნებ სწორედ იმის მისაღწევადაა საჭირო, რომ პოემამ ისტორიის კოშმარიც დაიტეოს და – პოეტების სამოთხეც.

ორი საუკუნის (და ათასწლეულის) მიჯნაზე როთენბერგის პოეზიამ ახალი მიმართულება აიღო კრებულით "თვითმხილველის წიგნი." ამ-იერიდან *მხილველი* (შამანი; ვიზიონერი) ამავე დროს *თვითმხილველია*. როთენბერგის 600 გვერდიან კრებულს, რომელიც მისი პოეზიის და პროზის გენერალური რეტროსპექტივაა, ასეც ჰქვია: *თვითმხილველის თვალი (Eye of the Witness, 2013)*; გაითვალისწინე, რომ ინგლისურში *eye* (თვალი) ზუსტად ისევე გამოითქმის, როგორც *I* (მე): *მე, ესე იგი, თვითმხილველის მე*. როთენბერგის *მე*, მისი *თვალი* და *ხმა*, ბევრად მეტია, ვიდრე ერთი კაცის, ერთი პოეტის ეგო: ის *მთელი პოეზიის მეს ატარებს*.

"არსებობს ავან-გარდი, რომელსაც ვერაპინ დაამარცხებს"

ირაკლი ყოლბაია: *სინმინდის ხელოსნებ-*
ის პირველივე გვერდზე იკითხება დაიან ვაკო-
სკის სიტყვები: "მე ყოველთვის ისეთი პოეტე-
ბი მეყვარება ყველაზე მეტად, როგორებიც
არიან გინსბერგი და როთენბერგი, რომლებიც
სერიოზულ, ვნებიან, მწუხარე საკითხებზე
წერენ" [ციტატა გრძელდება]. რაც მშვენიერია,
მაგრამ, ამავე დროს, დამაფიქრა: განა არ შეი-
ძლება, ასევე გამართლებულად ითქვას: ". . .
ისეთი პოეტები, როგორიც როთენბერგია, რომ-
ლებთანაც მწუხარება და სერიოზულობაც კი
აუცილებლად ერწყმის მხიარულს, ცელქურს,
ლალს, სულაც სასიხარულოს - თავად კრეაცი-
ის აქტს"? რას ფიქრობ ამაზე? მე ვაცნობიერებ
მწუხარების სიმძიმეს, რომელსაც საკუთარ პო-
ეზიაში მიმართავ: შენ ერთ-ერთი უმნიშვნელო-
ვანესი პოეტი ხარ იმათ შორის, რომელთაც
პოეტური შემოქმედება მეორე მსოფლიო ომის
შემდეგ დაიწყეს და რომელთა რეალობაც,
გარკვეულწილად, ჰოლოკოსტმა (ან, როგორც
შენ უწოდებ მას, *ხურბნმა*) და ჰიროშიმამ განა-
პირობა. და, რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვა-

ნია, ამ პოეტებს შორის, შენ, განსაკუთრებით, აიღე შენს თავზე ერთგვარი მოვალეობა, გელაპარაკა ამ საკითხებზე. ასე ვიტყვოდი, რომ შენ, რამდენიმე სხვასთან ერთად, მიიღე გადაწყვეტილება (ვციტირებ ჩარლზ ოლსონს) "ხელი მოგეკიდა / გული დაგედო ამ მკვდრებისთვის".³ ვგულისხმობ: დამონშება, სამყაროს განცდა, შენივე ტერმინი რომ ვიხმარო, თვითმხილველობა, როგორც ლექსის ერთ-ერთი პასუხისმგებლობა.

ჯერომ როთენბერგი: მე როგორც მახსოვს, დაიან ვაკოსკი აქ *პოლონეთი / 1931*-ზე ან, შესაძლოა, ცოტა უფრო გვიანდელ *სენეკას დღიურზე* ლაპარაკობდა, შემდეგ ის განაგრძობდა, რათა ხაზი გაესვა, თუ რას გულისხმობდა პოეზიით "რომელსაც ისტორიული ან არქექტიპული თემები აქვს, რომელიც ცდილობს, წარმოადგინოს გარკვეული კულტურა და რომელიც, განსაზღვრული სახეთმეტყველებითა და სტილიზებული ლექსიკით, აღქმის მთლიან მოდელს ქმნის". და ყოველივე ეს პირნათლად ასახავს, თუ რის მიღწევასაც ვცდილობდი მაშინ, მოგვიანებით კი სხვა გზებითაც, რომელთა რიგსაც უდავოდ ეკუთვნის ის დიდი ანთოლოგიე-

ბი და ასამბლაჟები, როგორც *სინმინდის ხელოვნება*. და მაინც, მხოლოდ "მწუხარე" (თუნდაც შევსებული "სერიოზულითა" და "ვნებიანით"), ალბათ შეზღუდული დახასიათებაა, და ჩემი, გინსბერგის ან ნებისმიერი სხვა პოეტის მხოლოდ პატარა, ცალკეულ ასპექტს გამოხატავს - ამას, ცხადია, ვაკოსკიც აღიარებს, როდესაც განავრცობს თავის ფორმულირებას. და იოლად შემიძლია ჩემი შემოქმედების სხვა ასპექტზეც (მრავალ ასპექტზე) ვიფიქრო, რომელსაც მსგავსი დახასიათება უგულვებელყოფდა - ვგულისხმობ უფრო ექსპერიმენტულსა და ცელქურს, ანდა სულაც რითმულს და პერფორმანსულს.

ამის თქმით, ცხადია, ოდნავაც არ უარყოფ "მწუხარებას" ან *პასუხისმგებლობას* - თუმცა, შენსავით, ამ სიტყვას ვიხმარ - ლექსს, რომელიც ყველა შესაძლო გზით ემონება იმ საშინელებებს, რის გარემოცვაშიც გავიზარდეთ და რასაც, ამ წამამდე გვინევს, თვალი ვუსწოროთ. მე ამას ყველაფრის სარჩულად ვხედავ, რასაც კი ვაკეთებ, მაშინაც კი, როდესაც ვეძებ ახალ გზებსა და პროცედურებს, მათ შორის იმათ, რომელთა წყალობითაც სხვათა ხმებს, სხვათა მყოფობებს ვუშვებ ლექსში. ეს, ალბათ,

თვითკმაყოფილი და თვითკმარი თვითგამოხატვის ანტიდოტია - აქციო ლექსი წყაროდ ბედკრული მკვდრებისთვის და არა უბრალო თვითგამოხატვის ხელსაწყოდ: ლექსი, როგორც სხვა ხმების, სხვა დროების თავშეყრის ადგილი.

ი. ყ.: ვფიქრობ, სწორედ ეს მაინტერესებდა, ჩემს პირვანდელ კითხვაში: შენი პოეზიის ეს ორმხრივი ბუნება, ეს ოპოზიცია - "სერიოზული / მწუხარე" და "ლალი / კომიკური". ვიცი, რომ მსგავსი სიორმაგე ყოველთვის იყო პოეზიის კუთვნილება თუ უნარი, მაგრამ ამ კონტექსტში უფრო მეტად შენზე ვფიქრობ, ვიდრე გინსბერგზე, რამდენადაც, ვგრძნობ, შენთან ეს ცელქობა და სილალე თვით ლექსის წერის აქტში მდებარეობს, ანუ ძალიან ფუნდამენტურად, თავად პროცედურებში, თითქოს ეს სილალე თუ სიცეცე (რაც პოეტის, როგორც ტრიქსტერის, ამერიკული კოიოტის ან ევროპული მელიის არქეტიპს უკავშირდება) პოეტური აქტივობის თანშობილი თვისება იყოს. აქვე მაგონდება იესო ქრისტეს სიტყვები მესამე საუკუნის სირიული ტექსტიდან, რომლებიც თავად თარგმნე ინგლისურად და შენს 1964 წლის მანიფესტშიც ციტირებ: "თუკი ჩასწვდები იმას

რაც მე ვარ, ეს იცოდე: ყოველივე, რაც ვთქვი, წარმოვთქვი სილალით, და ოდნავაც არ მრცხვენოდა ამის" ("წმინდა იოანეს საქმენი").

ჯ. რ.: ვფიქრობ, აქ ორი (სულ მცირე ორი) იმპულსი მოქმედებს: ზოგადად, სამყაროს სკეპტიკური და ირონიული აღქმა და თამაშის ელემენტი, რომელიც, მჯერა, მოიძებნება ყველა პოეზიაში, როგორც ენის ხელოვნების განვითარებულ ფორმაში. ვფიქრობ, ამათზე ფიქრობდა პლატონიც, როდესაც პოეტები თავისი ავტორიტარული სახელმწიფოდან გარიცხა. პლატონისთვის უდავოდ ცნობილი იყო, რომ პოეზიის წყაროები საკრალური მასხარების, კლოუნების და ტრიქსტერების ტრანსგრესიულ თხობებსა და კომიკურ შესრულებებშია. პლატონი ამათ "ღმერთებისადმი მიძღვნილი ჰიმნებით და განთქმული ადამიანების ხოტბით" ანაცვლებს. ჩემთვის კი პირიქით, ღმერთებისა და ადამიანების კითხვის ნიშნის ქვეშ დაყენება სოციალური და სულიერი სიჯანსაღის ნიშანია, ღრმად გამჯდარი ადამიანის გონებაში - არ ვამბობ, რომ ეს ერთადერთია, რისი მოცემაც პოეზიას შეუძლია, მაგრამ, მიმაჩნია, რომ ამის გარეშე ის, მეტწილად, ცარიელი ქურ-

ჭელია. აქვე დავამატებდი და ხაზს გავუსვამდი, რომ შენს მიერ ციტირებული იესოს სიტყვები აპოკრიფული, სულაც ერეტიკული ნყარობიდანაა, და გამოხატავს ასეთი განზე მდგომი ან გარიყული ტექსტების მნიშვნელობას, ჩემთვის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს არეალს ძველი და ახალი სივრცისა და დროის პოეზიისა და პოეტიკის ახალი რუკების შედგენისას.

ამ სიცელქის თუ სილალის მეორე ასპექტი უწყვეტ ფორმალურ ექსპერიმენტებსა და ხერხებს უკავშირდება, როგორც ერთგვარ ლირიკული თამაშის თეორიას, როგორც ვთქვი, თამაშის ელემენტს ყველა პოეზიაში, როგორც ფანტაზიისა და წარმოსახვის კავშირს (თუ ძველ რომანტიკულ ტერმინებს მივმართავთ⁴) - და ეს "თავად პროცედურებში", როგორც შენ თქვი. ჩემთვის, მას მერე რაც პოეზია გათავისუფლდა ტრადიციული რითმისა და მეტრისგან, ეს პროცედურების საკითხი უამრავი მიმართულებით წარიმართა და გაღრმავდა; ხშირად ის სტრატეგიაა იმისთვის, რომ კომპოზიციის პროცესიდან გამორიცხოს გადაჭარბებული ექსპრესიონიზმი და სუბიექტურობა. მაგალითად, რამდენიმე წლის წინ დავინწყე კომპოზიციაში ებრაული ნუმეროლოგიური სისტემის (რიცხვ-

წერის), გემატრიას გამოყენება, რომელიც იმ ფაქტს ემყარება, რომ ივრითის ანბანის ყველა ასო ამავედროულად ციფრია. შესაბამისად, ყველა ებრაული სიტყვა ამავედროულად გარკვეული ციფრების ჯამია. ეს მეთოდი ისეთი სიტყვების "გატოლების" უფლებას იძლევა, რომლებიც ერთსა და იმავე რიცხვს უდრის. ამრიგად, მე ვიყენებ ტრადიციულ ებრაულ ფორმას, რომელიც, ამავე დროს, საოცრად ჰგავს განვლილი საუკუნენახევრის მოდერნისტული და "პოსტ"მოდერნისტული პოეზიის ექსპერიმენტებს.⁵

როდესაც ამ ტექნიკით შევქმენი ლექსების ციკლი, "14 სადგური" იმ ქალაქების შესახებ, სადაც ნაციისტური სიკვდილის ბანაკები მდებარეობდა, ვთვლიდი, რომ ეს "ობიექტური" პროცედურები არ გამოორიცხავდნენ მტკივნეულ მნიშვნელობას ან ჩემს მისდამი დამოკიდებულებას.

ამ ყველაფერს, ალბათ, შენი შეკითხვის ბოლო პუნქტთან მივყავარ: "სიხარულის" შეგრძნება, რომელსაც ქმნა ინვევს, და რომელიც ალბათ საპირისპიროა იმ მწუხარებისა თუ სერიოზულობის, რომელზეც შენ და ვაკოსკი ამახვილებთ ყურადღებას. ეს ის თვისებაა (უფრო

კი - გამოცდილება), რომელსაც ხანდახან რთულად ვაღწევ, მაგრამ რომელსაც, ვფიქრობ, ძალისხმევა აჩენს მაშინ, როდესაც ეს ძალისხმევა გამოიღებს ენერგიას, რომელიც მაძლევს უფლებას, ცდა განვაგრძო. ამას, ყველაზე მეტად, მგონი, პერფორმანსის დროს ვგრძნობ, თუნდაც ისეთი მგლოვიარე ნაწარმოების შესრულების შემდეგ, როგორცაა *ხურბნი*; ეს ალბათ ერთგვარი ნუგეშია, შვება, რომ მოვახერხე იმის თქმა, რაც ვთქვი.

არის, რა თქმა უნდა, სხვა ლექსებიც, რომლებშიც საერთოდ არაა მწუხარება.

ი. ყ.: უადგილოდ არ მიმაჩნია, მაშინ, ახლა მივუბრუნდე ტერიტორიას, რომელსაც არ შემოიძლია, შენთან საუბარში არ შევეხო. ვგულისხმობ იმ დროსა და ადგილს, როდესაც და სადაც შენ გახდი პოეტი (50-იანების ბოლოს / 60-იანების დასაწყისში). მახსოვს, ჟაკ რუბომ⁶ ამას უწოდა "პოეზიის ამოფრქვევა ამერიკაში", და მრავალი ჩვენგანი დღემდე სწორედ ასე აღიქვამს ამ მოვლენას, აღფრთოვანებულები და შთაგონებულები, თუმცა შეიძლება უკვე ნახევარი საუკუნით (და მრავალი კილომეტრით) ვიყოთ დაშორებულები თავდაპირველ აფეთქე-

ბას. ამიტომ გთხოვ, გაგვიზიარო შენი პირადი შეხედულება ამ დროზე, ამ "დიდ აფეთქებაზე". ამას რომ გეკითხები, ისიც მიტრიალებს თავში, რომ მრავალი ჩვენგანისთვის დონ ალენის ანთოლოგია⁷ და, მოგვიანებით, შენი ასამბლაჟები და კრებულები სასიცოცხლო მნიშვნელობის "ისტორიული" დოკუმენტებია (ისტორიული - რამდენადაც ცოცხლად უჭირავთ ეს მომენტი დროში, ეს პოეტური ამოფრქვევის მწვერვალი), და, ამავე დროს, მონვევა, ნებართვა, ნებისმიერს მიეღო მონაწილეობა სიტყვის რევოლუციაში.

"თითქოს სადღაც ყინული გატყდა", - გვაუწყებს, სიხარულით, უილიამ კარლოს უილიამსი, საკუთარი დროის შესახებ (პირველი თაობის პოეტური ავანგარდი ამერიკაში). რა იყო მსგავსი ყინულის ტყდომის მომენტი შენს დროში? "ერთადერთი ახალი ამბები პოეზიაა", წერდა, მახსოვს, რობერტ კელი. რა იყო ის "ახალი ამბები", რომლებიც თქვენ მოგქონდათ?

ჟ. რ.: ეს წარსული, ზოგიერთი ჩვენგანისთვის, ისეთ შორეულ წარსულად არ აღიქმევა, თუმცა ვიცით, რომ არის. ჩემთვის და ბევრი ჩვენგანისთვის, "ახალი ამბები" 50'იანების ბო-

ლოსკენ, ერთდროულად სიახლეც იყო და ღრმა წარსულის მიკვლევასაც უკავშირდებოდა: ერთი მხირვ, ეს იყო რწმენა, რომ უფრო ადრეული და ტრანსფორმატორული მოდერნიზმი, რომელიც შუამდგომმა თაობამ დამარხა,⁸ ჯერაც ცოცხალი იყო, და მზაობა იმისთვის, რომ უფრო ღრმად აღმოგვეჩინა მისი ტრანსფორმატორული ბუნება, რამდენადაც, გვწამდა, ამას ჩვენი დრო ითხოვდა. მაშინაც ზუსტად ისევე, როგორც დღეს, ყველა მხრიდან მძლავრდებოდა ავტორიტარიანიზმი. პოეზიაში, უშუალო რეაქცია ამ პროცესებზე კონტრპოეტიკა იყო, მიმართული იმათ წინააღმდეგ, ვინც გზას უხერგავდა ექსპერიმენტულს და ახალს. მგონი, ყველა ჩვენგანისთვის, ამას ახლდა აღფთოვანება ახლად აღმოჩენილი "ახალი ამერიკული პოეზიით". მაგრამ მრავალი ჩვენგანისთვის ეს სიახლე ამერიკით არ შემოიფარგლებოდა და წინამორბედებს ვხედავდით არა მხოლოდ პაუნდის, უილიამსის, სტაინის ან ქამინგსის სახით, არამედ ევროპული პოეზიის ახლო წარსულშიც. ამასთან ერთად, დავინწყეთ არქაული, ხშირად დავინწყებული წყაროების ძიება და აღმოჩენა მთელი სამყაროდან. ამიტომ, ჩემი საკუთარი ძიება ეთნოპოეტიკის მიმართულებით კარგად

ერგებოდა ამ ატმოსფეროს. ამავე დროს, ვაც-ნობიერებდი, რომ ამით ვაგრძელებდი საქმეს, რომელიც ტრისტან ცარამ, ბლეზ სანდრარმა, სურრეალისტებმა და სხვებმა დაიწყეს. იმასაც გავუსვამდი ხაზს, რომ *სინმინდის ხელოსნები* იქიდან ამოიწვერა, რასაც მე და რობერტ კელი "ღრმა სახე-ხატს" ვეძახდით. ამავედროულად, მეც და სხვებიც თავით გადავეშვიტე პერფორმანსულ პოეზიაში და ესეც არქაული ზეპირსიტყვიერების განახლებად გვესახებოდა. ხოლო ეს, თავისმხრივ, ჯაზის ახალ განვითარებებს და მაშინ ახალშობილ როკენროლს უკავშირდებოდა.

ამრიგად, სწორედ 50-იანების ბოლოს და 60-იანების დასაწყისში იწყო პოეზიის სამყარომ საოცარი სისწრაფით გაფართოება. მაშინ მე ნიუ იორკში ვიყავი, ენტინთან, კელისთან, შვერნერთან, ჯორჯ ეკონომუსთან, როშელ ოუენსთან და სხვა პოეტებთან ერთად. მალევე დავეუკავშირდი პოლ ბლექბერნს, ჯექსონ მაკლოუს და მრავალ სხვას. უფრო მერე, პოეტებს ნიუ იორკის გარეთაც: რობერტ დანკანს და გარი სნაიდერს, რობერტ ქრილის, ლუის ზუკოვსკის და ჯორჯ ოფენს, ანსელმ ჰოლოს და ნათანიელ ტარნს ინგლისში, ენცენსბერგერს

გერმანიაში, რუბოს და ჟან-პიერ ფეს საფრანგეთში, fluxus-ის⁹ პოეტებს მთელი მსოფლიოს გარშემო. უსასრულოდ შეიძლება ჩამოთვლა.

და რა შემიძლია ამაზე ვთქვა გარდა იმისა, რომ რასაც ვშვებოდით სწორი იყო, მაშინაც და მომდევნო წლების მანძილზეც, რაც უფრო და უფრო მაგრძნობინებდა თავს პოეტების ვრცელი კომპანიის ნაწილად. ეს იყო ჩემთვის "დიდი აფეთქება", რადგან ეს მაძლევდა უფლებას, არ ვყოფილიყავი შეზღუდული ან გამოკეტილი, ვყოფილიყავი სამყაროს ნაწილი, მეძებნა და მეცადა, გაუთავებლად, ახალი შესაძლებლობები და მომერგო ისინი პოეზიისთვის. ეს იყო რაც მოგვიანებით ჩემმა ფრანგმა მეგობარმა, მიშელ ჟირუმ, დაახასიათა, როგორც "ავანგარდი, რომელსაც ვერავინ დაამარცხებს".

ცვლილებები და მღელვარება პოეზიით არ შემოიფარგლებოდა და 60-იანების ბოლოს ყველანი სრულად ვიყავით ჩართულები წინააღმდეგობის დინამიკაში.

ი. ყ.: დიფიმიჯი, ეთნოპოეტიკა, ტოტალური თარგმანი, ომნიპოეტიკა... ეს მხოლოდ ერთი-ორია იმ უამრავი კონცეპტისა თუ პრაქტიკის-

გან, რაც შენს წვლილს გამოხატავს თანამედროვე პოეზიაში. ყველა შენი ნიგნი - შენივე პოეზიის კრებულები, ვრცელი ანთოლოგიები და ასამბლაჟები თუ თარგმანები - ამ წვლილის შემადგენლებია. და ცხადია, ზემოთ მოყვანილი ცალკეული კონცეპტები / პრაქტიკები ერთიმეორეს ამარაგებენ და კვებავენ. ძალიან მინდა, ერთი-ორი სიტყვით განმარტო ეს კონცეპტები, რადგან ამჟამად ისინი, შეიძლება, შედარებით ბუნდოვანი იყოს ზოგიერთი ქართველი მკითხველისთვის. ისე, პირადად, განსაკუთრებით მაინტერესებს მიმართულება, რომელიც ბოლო დროს მიიღო ამ ძიებამ, ვგულისხმობ აუტსაიდერულ და დაფარულ (Subterranean) პოეზიას.¹⁰

ამრიგად, საქმეში ერთვება ყველანაირი პოეზია, რომელთაგანაც მრავალი მანამდე არც კი მოიაზრებოდა პოეზიად, რომლებიც, საუკუნეთა მანძილზე, გამოხატავდნენ რალაც რადიკალურს, ექსტრემალურს, in extremis, და, დიდროს სიტყვებით, შეიცავდნენ "რალაცას ბარბაროსულს, ვრცელს და ველურს"; ამის ნაწილია ეგრეთ წოდებული "პრიმიტიული" ხალხის ზეპირსიტყვიერება, შამანიზმი, ებრაელი "მისტიკოსების, გიჟების და ქურდების" ნაწერები,

საუკუნეების მანძილზე ნაშლილი, განადგურებული და დამარხული ხმები, ძალადობის მსხვერპლების, ერეტიკოსების, მკრეხელების, "მენტალურად დაავადებულების" სიტყვები, მაგრამ ამასთან ერთად, უნდა ითქვას, რომ ამ დანკანისეული "მთლიანობის ნადიმის" წევრები არიან უბრალოდ პოეტებიც, ისინი ვინც უდავოდ ეკუთვნიან "პოეტების სამოთხეს"¹¹ (რომელიც, სინამდვილეში, ლიმბოა, დანტეს ჯოჯოხეთის პირველი წრე, და არა სამოთხე).

მოგვიყევი, მაშ, შენი პირადი მთლიანობის ნადიმის თუ პოეტების სამოთხის შესახებ, რომელსაც უკვე ნახევარ საუკუნეზეა მეტია, რაც ქმნი. და, შენი აზრით, რა შეიძლება (თუკი შეიძლება), მომავალმა პოეტებმა შეჰმატონ მას?

ჯ. რ.: ახლა, როდესაც ამ ასაკს მივალნივ და შემიძლია ასე შორს გავიხედო წარსულში, მაოცებს, თუ როგორ გამოიყურება ეს 50-60 წელიწადი. განვაგრცობ იმ ტერმინებს, რომლებიც შენ ახსენე: ახლა მეჩვენება, რომ გატაცება "დიფ იმიჯით" ადრეულ 60-იანებში იყო ჩემი მცდელობა, განმეგრცო ჩვენი სურრეალისტი წინამორბედების ზოგიერთი მიმართულება და, ამავე დროს, გამომეცოცხლებინა ადრეული

ამერიკული ავანგარდის მოძრაობები: იმაჟიზმი და ობიექტივიზმი.¹² რამდენიმე წელიწადმა და რობერტ კელისთან და რობერტ დანკანთან საუბრებმა ახალი სიღრმე დამანახა "ღრმა სახეხატის" მიღმა, რომელიც ღრმა ნარსულს უკავშირდებოდა, რამაც, თავის მხრივ, თარგმანისა და კვლევის გზით, იმასთან მიმიყვანა, რასაც ეთნოპოეტიკა ვუწოდებ. თავიდანვე მაინტერესებდა კომპოზიციის ნაწილობრივ ან სრულებით სხვების სიტყვებით შექმნის შესაძლებლობა. ამას ანთოლოგიებით, კოლაჟებით და თარგმანის გზით ვაღწევდი. ასე გამიჩნდა "ტოტალური თარგმანის" იდეა, მაგრამ მრავალი სხვა გზაც იმის მისაღწევად, რასაც ჰაროლდო დე კამპოსი "ტრანსკრეაციას", ხოლო მე "გასხვავებას" (othering) ვუწოდებ. ამასთან, მსურდა, რამდენადაც შემეძლო, მეტად გამეშალა სივრცე, ჩამერთო ის, რაც მანამდე გარიცხული, სულაც დაგმობილი იყო, ვინაიდან ვგრძნობდი, რომ მათი გზით პოეზიის ენა მეტყველებდა. ამაში მართლაც არის რაღაც იმის მსგავსი რასაც, დანკანი "მთლიანობის ნადიმს" უწოდებდა, და რასაც მე ომნიპოეტიკას ვეძახი.

ამრიგად, იმის დიდი ნაწილი, რასაც აქ ვამბობ, დღეს რასიზმისა და ეთნიციზმის განახლ-

ებული ფორმების წინააღმდეგაა მიმართული, რის აღზევებასაც ყველგან ვამჩნევთ ჩვენს გარშემო - დღეს, როგორც ნახევარი საუკუნის წინ, ეს არის ძახილი პოეზიებისა და სიცოცხლეების მრავალფეროვნებისთვის, და ჩვენს ნაწერებს შეუძლიათ, ხელი შეუწყონ ამას. მე ამას ვრცელ პროცესად ვხედავ, რომელიც გრძელდება და რომელიც არ შემოიფარგლება პოეზიის ვინრო ჩარჩოებით. და მაინც, სწორედ ეს სფერო, პოეზიაა ის, სადაც მე გადავწყვიტე, მეცადა ჩემი ძალები და წვლილი შემეტანა (ვინ იცის?) მთელი სამყაროს ერთგვარი მოდელის აგებაში.

მთარგმნელის შენიშვნები

¹ რომლის შესახებაც სხვაგან ასე ვწერდი - პირველი თაობა: ეზრა პაუნდი, უილიამ კარლოს უილიამსი, ჰილდა დულიტილი, et al.; მეორე თაობა: ჩარლზ ოლსონი, რობერტ დანკანი, რობერტ ქრილი, პირველი ნიუ იორკული სკოლა, ბიტნიკები, et al. მაშინ, სამოციანების ნიუ იორკში, მესამე თაობის ამერიკელი ავანგარდისტები "ღრმა სახე-ხატის" (deep image) პოეტებად მოიხსენიებდნენ თავს -

ტერმინი სწორედ რობერტ კელის და ჯერომ როთენბერგს ეკუთვნოდათ და ის პაუნდის იმაჟინიზმისა და ლორკას ღრმა სიმღერის (*cante jondo*) ერთგვარ ნაზავად გვესახება, რაც გასაგებს ხდის, რომ ეს პოეტები მიზნად არა მხოლოდ პირველი ორი ამერიკული ავანგარდული ტალღის ძიებების გაგრძელებასა და განვრცობას ისახავდნენ, არამედ მათი ევროპელი თანამედროვეების (ლორკას, მაგრამ აგრეთვე, დადა და სურრეალისტი წინამორბედების) ასიმილაციასაც. - მაგრამ, როთენბერგის შემთხვევაში, ამათ აუცილებლად უნდა დავუმატოთ არქაული, პრიმიტიული წყაროები: მათი მოდერნიზმთან შეკავშირება და შერწყმა როთენბერგს არ დაუწყია, მაგრამ ეს სტრატეგია ცენტრალური მნიშვნელობისაა მის ეთნოპოეტიკაში.² აქვე შეიძლება აღინიშნოს ისიც, რომ, როგორც ჩვენი კრებულიდან ჩანს, თითქმის თავიდანვე, როთენბერგის პოეზია სერიული ლექსების, ვრცელი სექვენციების ფორმას იღებს. ამთან რამდენიმე მთავარი ნაწილობრივ წარმოდგენილია ამ წიგნში ("პოლონეთი / 1931", "სენეკას დღიური"; "ეგ დადა მოდგმა"; "ხურბნ" და სხვები).

³ აქვეგულისხმობ და თავისუფლად ვციტირებ ჩარლზ ოლსონის ლექსს, *La preface*, კერძოდ სტროფს, სადაც ის წერს "we put our hands to these dead".

⁴ როთენბერგი უდავოდ კოლრიჯის თეორიას გულისხმობს, რომლის თანახმადაც *fancy* და *imagina-*

tion განსხვავდება, პირველი მდაბალია, მეორე კი ამაღლებული. ჩვენს კონტექსტში, ინგლისელი პოეტი ამით კვლავ პლატონის გამიჯვნას უერთდება (ამაღლებული, "სახელმწიფოში დაშვებული" პოეზია მდაბალი, "გარიცხული" პოეზიის წინააღმდეგ). როთენბერგისთვის ბევრად ახლობელია ეს-პანელი მხატვრის, გოიას *კაპრიჩო* და, მოგვიანებით, გარსია ლორკას *დუენდე* (vide მისი კრებული *Concealments & Caprichos*, 2010)

⁵ თუ ქართველ მკითხველს აინტერესებს, რა ტიპის ექსპერიმენტები შეიძლება იგულისხმებოდეს, ვურჩევ, ისინი ეძებოს ფრანგულ *OuLiPo*'ში (რომელზეც მეტს ქვედა შენიშვნაში ვწერ), ან ამერიკელ შემთხვევითი პროცედურების (*chance operation*) პოეტებთან: ჯონ ქეიჯთან და ჯექსონ მაკ ლოუსთან.

⁶ ფრანგი პოეტი, მათემატიკოსი, ანთოლოგისტი და პოეტიკის თეორეტიკოსი, რემონ კენოსა და ჟორჟ პერეკთან ერთად, ხსენებული *OuLiPo*'ს მთავარი წარმომადგენელი. ნათარგმნი ჰყავს მრავალი ამერიკელი პოეტი (მათ შორის როთენბერგი, გერტრუდ სტაინი, ჯეკ სპაისერი). მან შეადგინა გალიმარის 1980 წლის ბილინგვური ანთოლოგია *ოცი ამერიკელი პოეტი*, რომელთა შორისაც ერთერთი როთენბერგია.

⁷ 1960 წელს, დონ ალენის *New American Poetry*-მ საფუძველი ჩაუყარა "მეორე თაობის" ავანგარდს

ამერიკულ პოეზიაში. ბევრმა მკითხველმა მაშინ ნაიკითხა ბლექ მაუნთინის (ოლსონი, ქრილი, დანკანი), ბიტ თაობის (გინსბერგი, კერუაკი, კორსო), ნიუ იორკული სკოლის (ეშბერი, ო'ჰარა, სქაილერი), სან ფრანცისკოს რენესანსის (სპაისერი, ბლეიზერი) და სხვა პოეტების შემოქმედება. დონ ალენის თანახმად, ეს ახალი პოეზია ამერიკის ისეთივე მონაპოვარი და უნიკალური გამოხატულება იყო, როგორც აბსტრაქტული ექსპრესიონიზმი მხატვრობაში ან ფრი ჯაზი მუსიკაში.

⁸ როთენბერგი გულისხმობს იმ კონვენციურ, ტრადიციულ ამერიკულ პოეტებს, რომლებიც აკადემიური და ლიტერატურული პოპულარობით სარგებლობდნენ 40'იანებსა და 50'იანებში, ასეთებია დელმორ შვარცი, თეოდორ როთკე, რობერტ ლოუელი, რიჩარდ უილბერი, რენდელ ჯარელი და სხვები. ლირიკული, კონფესიური და პირადული პოეზიის ავტორები, რომლების არსობრივი განსხვავებაც როთენბერგის პოეტიკასთან, ალბათ, აშკარაა.

⁹ საერთაშორისო ინტერდისციპლინარული მოძრაობა მეოცე საუკუნის ავანგარდში. ფლუქსუსის მთავარი მედიუმი პერფორმანსია. შეიძლება ითქვას, რომ ის დადას ერთგვარი განახლებული და გავრცელებული ფორმაცაა.

¹⁰ იმის გამო, რომ *subterranean*'ს ჩემთვის გაცილებით ვრცელი იმპლიკაცია აქვს, ვიდრე *under-*

ground¹¹, სიტყვა არ ვთარგმნე, როგორც "იატაკევემა". მსგავს პოეზიაზე სხვაგან ამ სიტყვებით ვწერდი: არა მხოლოდ მუდმივი ანდერგრაუნდი და აუთსაიდი, რომელიც ყოველთვის არსებობდა და რომელიც ყველაზე ადრეულ (პროტო-) შამანიზმს აკავშირებს რადიკალური თუ მარგინალური ფორმების უახლეს გამოხატულებებთან. გარი სნაიდერი ამას "დიად სუბკულტურას" უწოდებს, ამ ხმებს, რომლებიც არსებობდნენ, და იშლებოდნენ ან ნადგურდებოდნენ ყველა კულტურაში. ანტონენ არტო: "მე მხოლოდ ის მაინტერესებს, რაც კულტურის მიღმაა". რობერტ დანკანი ყველა ამ ხმის ასიმილირებას გვთავაზობს, და ამას "მთლიანობის ნადიმად" მოიხსენიებს (განსხვავებით პლატონისგან, რომლის ნადიმიც ათენელებისთვის იყო განსაზღვრული).

¹¹ Vide, ამავე კრებულში, როთენბერგის ლექსი, "პოეტების სამოთხე".

¹² "objectivism" - მოძრაობა, რომელიც, დიდწილად, პაუნდისა და უილიამსის ძიებების გავლენით შეიქმნა, და რომლის მთავარი წარმომადგენლებიც ლუის ზუკოვსკი, ჯორჯ ოფენი, ჩარლზ რეზნიკოვი, კარლ რაკოზი და ლორინ ნაიდუკერი იყვნენ. ამ პოეტების ერთ ჯგუფად მოაზრება მეტისმეტად პირობითია, მაგრამ ყველა მათგანის შემოქმედება ახალი ამერიკული პოეზიის მწვერვალებია.

სარჩევი

წიგნი - სპირიტუალური ინსტრუმენტი 5

წიგნიდან ჯიგოკუ ზოშის შვიდი ჯოჯოხეთი

მეორე ჯოჯოხეთი: ქურდების, რომელშიც
ქურდები სანაყებში ინაყებიან 8
ბოდჰისატვა ჯოჯოხეთს განქმნის 11

წიგნიდან პოლონეთი/1931

ქორწილი 15
ქოქბოი, პირველი ნაწილი 18

წიგნიდან სენეკას დღიური

მე თავი 1968 წელს გავხდი... 25
სალამანკა, წინასწარმეტყველება 26
სენეკას დღიური 1: თავგების ლექსი 27

წიგნიდან ეგ დადა მოდგმა

ეგ დადა მოდგმა 35
დადას როგორც ჩემი მუზის ისტორია 37
ლექსი ყვითელში, ტრისტან ცარას მიხედვით 42

წიგნიდან ხურბნ

ამ ბნელ სიტყვაში, ხურბნ 43

DOS OYSLEIDIKN (გამოცარიელება)	45
...ჩელმნოს მიღმა ჩავლა...	49
ტყეში დამალული ტომარაში გამოკიდული	50
DOS GESHRAY (კივილი)	52
DIBBUKIM (დიბუკები)	55
NOKH AUSHVITS (აუშვიცის შემდეგ)	59
დასკვნა დაკარგული ქალაქისთვის	63

თვითმხილველის წიგნიდან

სამახსოვრო შემთხვევა	67
სადაც ღმერთი ნათელია	69
მე გადავიხადე საფასური და ნავაგე	71
ჯიბეში რუკა მიდევს	73
ყოველ ღამე ათზე	75
უკანასკნელი მეგობარი	77
სასტიკი ნირვანა	79
მე ახალ სამყაროში მოვდივარ	81
მე ის ვარ რაც ვარ	83

დამალვათა წიგნიდან

დამალვათა წიგნში	85
დამწვარი წიგნი	87

სხვადასხვა

პოეტების სამოთხე	88
------------------	----

ჩიკაგოს ლექსი	89
ტკივილი	92
იესოს ხილვები	93
მეოცე საუკუნე საზღვრებს გარეშე	99

ირაკლი ყოლბაია. ჯერომ როთენბერგი,
პოეზიის მფარველი 101

“არსებობს ავან-გარდი, რომელსაც ვერავინ
დაამარცხებს”: ირაკლი ყოლბაიას საუბარი
ჯერომ როთენბერგთან 108

ტირაჟი: 100 ცალი.



გამომცემლობა „უნივერსალი“

თბილისი, 0186, ა. პოლიტაოვსკაინას №4.

☎: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30

E-mail: universal505@ymail.com;

gamomcemlobauniversali@gmail.com